ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 7 ნოემბერი – 8 ნოემბერი, 2015 №262 (6882) ფასი: 50 თეთრი

## ევრო უიკენდი – დერბების ტური


გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.11 | სელტა-ვალენსია | 1.91 | 3.6 | 3.75 |
| 07.11 | მილანი-ატალანტა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 08.11 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.67 | 4.0 | 4.75 |
| 08.11 | ლივერპული-კრ.პალასი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 08.11 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 08.11 | სევილია-რეალი | 3.75 | 4.0 | 1.85 |
| 08.11 | დორტმუნდი-შალკე | 1.3 | 5.5 | 9.0 |
| 08.11 | ტორინო-ინტერი | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 08.11 | რომა-ლაციო | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 08.11 | ბორდო-მონაკო | 2.4 | 3.1 | 3.1 |

# ბრძოლა წესების გარეშე

## დვალი და საყევარიშვილი რუსთავი 2-ში ჯერ არ მიდიან



მოსამართლე ურთმელიძის მიერ 5 ნოემბერს რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას გათავისუფლებას და ტელეკომპანიის დროებით მმართველებად რევაზ საყევარიშვილის და დავით დვალის დანიშვნამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

გვ.3


გვ.2

ქიბარ ხალვაში რუსთავი 2-ის წილის ნახევარს დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს უთმობს


გვ.5

## „რესპუბლიკური პარტია „ქართულ ოცნებას“ ზურგზე მორიელივით აზის“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „აშშ-ის ელჩი აქ გადატრიალების მოსაწყობად ჩამოვიდა?“

## ლევან ბერძენიშვილი: „პრობლემა ის არის, რომ სასამართლოები მხარეებად იკვეთებიან“

„რუსთავი 2-ის მეპატრონის საკითხი ჩემთვის უმნიშვნელოა“


გვ.4

## გუგული მაღრაძე: „ნაციონალი ლიდერის გვერდით სუფრასთან არ უნდა დავსხდეთ“


გვ.4

„რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე მოვლენები სამართლებრივ ჩარჩოებს არ გასცილებია“

## გოგი თოფაძემ პარლამენტი სტალინის გამო დატოვა


გვ.6

## თამაზ მეჭიაური: „აშშ-ს ელჩმა ბოდიში უნდა მოიხადოს“


გვ.6

ISSN 1987-9385

# ქიბარ ხალვაში რუსთავი 2-ის წილის ნახევარს დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს უთმობს

## მოსამართლე ურთმელიძემ რუსთავი 2-ის დროებით მმართველებად დავით დვალი და რევაზ საყვარიშვილი დანიშნა





### დვალი და საყვარიშვილი ტელევიზიაში ჯერ არ მივლენ

5 ნოემბერს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის დროებით მმართველებად დავით დვალი და რევაზ საყვარიშვილი დაინიშნენ.

გადაწყვეტილება მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ მიიღო.

ამავე გადაწყვეტილებით, მოსამართლემ რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას და ფინანსურ დირექტორს კახა დამენიას უფლებამოსილება შეუჩერა.

— დროებით მმართველს განემარტოს, რომ თუ ის (ისინი) არ შეასრულებს საწარმოს კეთილსინდისიერად მართვის მოვალეობას, იგი საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, — წერია განჩინებაში.

მოსამართლე განჩინებაში მიუთითებს, რომ ქიბარ ხალვაშის ადვოკატების შუამდგომლობას გენერალური დირექტორის თანამდებობიდან ნიკა გვარამიას მოხსნას და დროებით მმართველებად რევაზ საყვარიშვილისა და დავით დვალის დანიშვნას საფუძვლად დაედო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მოსამართლე განმარტავს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენება დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ, თუ ის არ არის მიქცეული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მოსამართლე ურთმელიძე მიღებულ გადაწყვეტილებას ამყარებს ამერიკული სასამართლოს პრაქტიკით.

— ნიუ-იორკის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა რადიოსადგურში დროებითი მმართველის დანიშვნას, განმარტა, რომ დროებითი მმართველის ვალდებულებაა, შეინარჩუნოს და დაიცვას ქონება სასამართლო დავის შედეგის მიუხედავად. დროებითი მმართველი პასუხისმგებელი და ერთგულია არა რომელიმე მხარის, არამედ მას გააჩნია ერთადერთი დანიშნულება — დაიცვას ქონება. გადაწყვეტილების თანახმად, მაშინ, როდესაც არსებობს ქონების ღირებულების შემცირების საშიშროება, სხვა ალტერნატიული საშუალების გამოყენება, გარდა მმართველის დანიშვნისა, არ არის მისაღები, — აღნიშნულია განჩინებაში.

ურთმელიძე ასევე მიუთითებს, რომ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიხედვით, დროებითი მმართველის დანიშვნა არის მხოლოდ დამხმარე და თანხმლები საშუალება.

მოსამართლე განჩინებაში საუბრობს საფრთხეზე, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მხრიდან შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სასამართლო დავის გარშემო საკითხების გაშუქებას.

მოსამართლის განჩინებაში ასევე აღნიშნულია, რომ ეს უარყოფითად აისახება საწარმოს რეიტინგზე და მის ფინანსურ საკითხებზე.

— არსებობს საფრთხე, რომ შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის თანამშრომელთა კონცენტრაცია და საქმიანობის მიმართულება ძირითადად გადატანილი იქნეს მხოლოდ და მხოლოდ არსებული დავის გარშემო საკითხების გაშუქებაზე. ეს არა მხოლოდ უარყოფითად აისახება საწარმოს რეიტინგზე და მის ფინანსურ საკითხებზე, არამედ შექმნის სერიოზულ საფრთხეს, რომ მედიამ დაკარგოს თავისი ძირითადი როლი და დანიშნულება — იდგეს საზოგადოებრივი ინტერესის სადარაჯოზე, — აღნიშნულია ურთმელიძის განჩინებაში.

განჩინებაში რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკაზეცაა საუბარი.

— სასამართლო მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ინფორმაციის გაშუქებისას გამოყენებული უნდა იქნეს ობიექტური და სამართლიანი რეპორტაჟის მეთოდი. მოპასუხის მმართველობის პირობებში ეს საკითხი დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. მითითებული მიზნების უგულებელყოფა კი საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის ძირითად დანიშნულებას, — აღნიშნულია მოსამართლე თამაზ ურთმელიძის განჩინებაში.

### ნიკა გვარამია: „შენობიდან არ გავალ"

მოსამართლის გადაწყვეტილებას ნიკა გვარამია 5 ნოემბერს ღამით ასე გამოეხმაურა:

— გილოცავთ მეგობრებო! საქართველოში ოფიციალურად დამყარდა დიქტატურა. ამ წუთში ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ურთმელიძემ გამოიტანა სრულიად უკანონო გადაწყვეტილება, რომლითაც რუსთავი 2-ის დროებით მმართველად დანიშნა რევაზ საყვარიშვილი (იმედის ყოფილი დირექტორი) და დავით დვალი. ტოპ მენეჯმენტის უფლებამოსილება შეჩერებულია. ამიერიდან, ერთის ნაცვლად გეყოლებათ ორი ტვ იმედი. კიდევ ერთხელ გილოცავთ დიქტატურის დამყარებას.

6 ნოემბერს, ადრე დილით, ტელეკომპანია რუსთავი 2-ში საგანგებო ბრიფინგი ჩატარდა, რომელზედაც ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ ტელეკომპანიის შენობის დატოვებას არ აპირებს.

მან თქვა, რომ იცავს რუსთავი 2-ში მომუშავე ადამიანების უფლებას.

— რაც შემეხება მე და ჩემს კოლექტივს, კოლექტივი თვითონ გააკეთებს განცხადებას. ვინც არ უნდა გადამაყენოს, მე ვიცავ აქ მყოფი ადამიანების უფლებას, იმუშაონ თავისუფლებად, კონსტიტუციის გარანტირებული უფლებების ფარგლებში. მე ამ შენობიდან არ გავალ, მობრძანდით და დამატოვებინეთ შენობა იძულებით, — განაცხადა გვარამიამ.

### ყარამანიშვილი ურთმელიძეს დაემუქრა




— მთელ რესურსს მომავალში დავხარჯავ იმისთვის, რომ თქვენ გაიზიაროთ ის ბედი, რაც თქვენ თვითონ აირჩიეთ.

ასე მიმართა 5 ნოემბერს რუსთავი 2-ის 91%-იანი წილის მფლობელმა გია ყარამანიშვილმა მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს.

ამ განცხადებით ყარამანიშვილი ურთმელიძის მიერ გამოტანილ განჩინებას გამოეხმაურა.

— ეს მოსამართლე ყოველ ჯერზე აჭარბებდა ყველანაირ მოლოდინებს, მაგრამ მე მაინც მინდა მივმართო მას და ერთი რჩევა მივცე: კარგად შეისწავლეთ იანუკოვიჩისდროინდელი მოსამართლეების ბედი, მათი ისტორია, სად არიან ისინი დღეს და მე გპირდებით, რომ მე მთელ რესურსს მომავალში დავხარჯავ იმისთვის, რომ თქვენ გაიზიაროთ ის ბედი, რაც თქვენ თვითონ აირჩიეთ, — აღნიშნა ყარამანიშვილმა.

მისივე თქმით, დღეს დასაცავია არა ვიღაცის საკუთრება, არამედ ქვეყნის მომავალი.

— მე ამ განცხადებას ვაკეთებ არა როგორც რუსთავი 2-ის წილის მფლობელი, არამედ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. დღეს არ დგას საკითხი ასე ვიწროდ, რომ დასაცავია ვიღაცის საკუთრება. დღეს დასაცავია მთელი ქვეყანა. დღეს არის მცდელობა, ქვეყანაში დაამყარონ დიქტატურა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს არ გამოვა, მაგრამ დღეს, რუსთავი 2-ის დაცვით ჩვენ ვიცავთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის ევროპულ და საერთოდ, მომავალს. მე მინდა მოვუწოდო ყველას — ნუ დაიცავთ რუსთავი 2-ს, დაიცავით თქვენი ქვეყნის მომავალი.

ეს განცხადება გია ყარამანიშვილმა კიევში გააკეთა.

### ქიბარ ხალვაში: „ჩემი წილის ნახევარს დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს ვუთმობ"

6 ნოემბერს ქიბარ ხალვაშმა, დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ სასტუმრო რედისონში პრესკონფერენცია გამართეს.

— თუ სასამართლო დაადგენს, რომ რუსთავი 2 მე მეკუთვნის, მაშინ დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს ვუთმობ ჩემი წილის ნახევარს, — განაცხადა რუსთავი 2-ის 100 %-იანი წილის მფლობელმა ქიბარ ხალვაშმა.

ქიბარ ხალვაშის თქმით, მისი მიზანია არა მხოლოდ რუსთავი 2-ის დაბრუნება, არამედ სამართლიანობის დაბრუნება.

— მინდა, სამართლიანობა აღდგეს ყველა ადამიანისათვის, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს დაზარალდა. ეს ეხება არა მარტო რუსთავი 2-ს, არამედ ყველა სხვა პირად საკუთრებას, რომელიც დაიკარგა და ჩამოართვეს.

მისივე თქმით, ის ტელეკომპანიის მმართველობაში მონაწილეობას არ მიიღებს და ამ საქმიანობას პროფესიონალები წარმართავენ.

დავით დვალის განცხადებით, იმ ორი ადამიანის გარდა, ვისაც უფლებამოსილება აქვს შეჩერებული, რუსთავი 2-ს არც ერთი თანამშრომელი არ დატოვებს.

როგორც დვალმა აღნიშნა, მას კარგად ესმის ის განწყობა, რაც აქვთ ჟურნალისტებს, რომლებიც თვლიან, რომ ყველანი მათ წინააღმდეგ არის. დვალი პირობას იძლევა, რომ მაქსიმალურად დაუდგება გვერდში და მათ საქმიანობაში არავინ ჩაერევა.

— თუ ვინმეს უხარია მთავრობაში, რომ ასეთი პროცესები მიდის რუსთავი 2-ის irgvliv, მინდა გავაფრთხილო, აზრად არავის მოუვიდეს ერთი ზარის განხორციელება და ტელევიზიის საქმიანობაში ჩარევა, — განაცხადა დვალმა.

მისივე თქმით, ის სამპუნქტიანი გეგმა, რომელიც რუსთავი 2-ის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა, არის არა დვალის და აქიმიძის მოთხოვნები, არამედ ერთობლივი შეთანხმება ქიბარ ხალვაშთან.

— დროებით მმართველობაზე დათანხმება გამოიწვია იმ ინფორმაციებმა, რაც გავრცელდა და რამაც დაგვანახა, თუ რის წინაშეც ვდგავართ, მათ შორის, ფარულმა ჩანაწერებმა, — აღნიშნა დავით დვალმა.

რუსთავი 2-ის ყოფილმა მფლობელმა, ჯარჯი აქიმიძემ, ისაუბრა იმ სამპუნქტიან შეთანხმებაზე, რომელიც მას, დვალსა და ხალვაშს შორის შედგა:

— პირველი პუნქტი: ტელევიზია ემიჯნება ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, როგორც სახელისუფლოს, ისე ოპოზიციურს, საკუთარ სარედაქციო საქმიანობას წარმართავს ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატიული ფასეულობების შესაბამისად, ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებზე დაყრდნობით.

მეორე: ტელევიზია არასოდეს გახდება მხარე პოლიტიკური ვითარებისას, იქნება ობიექტური, ექნება ობიექტური და კრიტიკული საინფორმაციო პოლიტიკა. იქნება მნიშვნელოვნად წარმოდგენილი ანალიტიკური და საგამოძიებო ჟურნალისტიკა.

მესამე: ტელეკომპანია არ დაფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით, პარტიების შემოწირულობით და პოლიტიკური დაკვეთით. აქ არ იგულისხმება ფასიანი პოლიტიკური, წინასაარჩევნო რეკლამა. ტელეკომპანია იარსებებს მხოლოდ კომერციული შემოსავლებით და ეს იქნება სწორედ მისი დამოუკიდებლობის გარანტი.

* * *

პრესკონფერენციაზე ეროსი კიწმარიშვილის შესახებაც ჩამოვარდა საუბარი.

— ეროსი კიწმარიშვილი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, იქნებოდა თუ არა ის ქიბარ ხალვაშის, ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის შეთანხმების მონაწილე, ან ხომ არ აპირებს ქიბარ ხალვაში ეროსი კიწმარიშვილის ოჯახთან კომუნიკაციას და მათთან რაიმეზე შეთანხმებას?

ამ კითხვას ქიბარ ხალვაშმა ასე უპასუხა:

— ეროსის ახლობლებს, რამდენადაც ვიცი, ჩვენთვის არ მოუმართავთ. თუმცა ძალიან განსხვავებული იყო ეროსის, ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის პოზიციები. ტელევიზიის გასხვისებისას ერთს ათჯერ მეტი თანხა გადაუხადეს, ვიდრე ორ დანარჩენს.

მისივე თქმით, მას არაერთხელ ჰქონდა კომუნიკაცია ეროსი კიწმარიშვილთან და დაინტერესების შემთხვევაში შეუძლია რუსთავი 2-ის ჟურნალისტებს გააცნოს ის მიმოწერა, რომელიც მათ შორის არსებობდა, თუმცა არა საჯაროდ.

— ეროსი როდესაც რამეს ლაპარაკობდა, ყოველთვის ეს არ იყო სიმართლე. როგორც სიტუაციას დასჭირდებოდა, ისე მოარგებდა ხოლმე, — განაცხადა ხალვაშმა.

რაც შეეხება იმას, გადაუხადა თუ არა მან 6 მილიონი ეროსი კიწმარიშვილს ტელევიზიის შესყიდვის დროს, ხალვაში აცხადებს, რომ მას პირადად კიწმარიშვილისთვის თანხა არ გადაუხდია, არამედ აძლევდა ვიღაც პიროვნებებს, რომლებიც მაშინ ხელისუფლებასთან იყვნენ დაკავშირებული და შემდეგ ხელისუფლებამ თქვა, რომ ეს თანხა ეროსი კიწმარიშვილს გადაუხადეს.

— მიცემული მაქვს ეს ჩვენება პროკურატურაში. ძალიან

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბრძოლა წესების გარეშე

**მოსამართლე ურთმელიძის მიერ 5 ნოემბერს რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას გათავისუფლებას და ტელეკომპანიის დროებით მმართველებად რევაზ საყევარიშვილის და დავით დვალის დანიშვნამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.**



### უსუფაშვილი: „ესაა ბრძოლა წესების გარეშე"

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ამ მოვლენას ფეისბუქზე გამოეხმაურა.

— დაუშვებელია, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება წარიმართოს სააკაშვილ-ხალვაშის სცენარით, — წერს უსუფაშვილი.

— დაუშვებელია, გაგრძელდეს სასამართლოების ჩათრევა ბრძოლაში წესების გარეშე. დაუშვებელია, რაც არ უნდა დიად მიზნებს ემსახურებოდნენ, საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლეები მალულად (დიახ, მალულად, და არა „ზეპირი მოსმენის გარეშე") იღებდნენ ისეთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, რომლებმაც შესაძლოა, ქვეყნის უახლოეს მომავალზე გადამწყვეტი გავლენა იქონიონ, — აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისი აზრით, დაუშვებელია, ბატონ სააკაშვილს და ბატონ ხალვაშს მიეცეთ იმის საშუალება, რომ თავიანთი იმთავითვე საეჭვო ურთიერთობების, გარიგებების, გადაგდება-გადმოგდებების მოგვარების პროცესში ხალხი და ქვეყანა დააზარალონ.

— ამიტომ დღეს, როგორც არასოდეს, ყველა მოსამართლის თუ საჯარო მოხელის ერთადერთი სწორი (მათ შორის, პოლიტიკურადაც სწორი) გადაწყვეტილებაა მხოლოდ კანონზე და სინდისზე დაფუძნებული დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და სხვა არაფერი. დღეს, როგორც არასოდეს, ყველა პოლიტიკოსის ერთადერთი სწორი ქმედებაა, ხელი შეუწყოს ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას და სხვა არაფერს, — წერს დავით უსუფაშვილი.

### ნინო გვენეტაძე: „მზად ვარ, ურთმელიძეს შევხვდე"

6 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ მზადყოფნა გამოთქვა, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს იუსტიციის საბჭოს ფორმატში შეხვდეს.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ ნათქვამია ნინო გვენეტაძის განცხადებაში.

— უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო გვენეტაძე გამოხატავს მზადყოფნას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმატში შეხვდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს თამაზ ურთმელიძეს, მისი სურვილის შემთხვევაში, — ნათქვამია განცხადებაში.

### ღარიბაშვილი: „პროცესი უნდა წარიმართოს ღიად"

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ასეთ სახელმწიფოში კი კერძო სასამართლო დავას და მით უფრო, მასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას, არ შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური სარჩული.

— ტელეკომპანია რუსთავი 2-თან დაკავშირებით მიმდინარე პროცესი არის კერძო კომპანიის მფლობელობასთან დაკავშირებული სასამართლო დავა. ბუნებრივია, რომ ორივე მხარე იყენებს ყველა არსებულ იურიდიულ ბერკეტს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. ჩვენი, ხელისუფლების ვალია, უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც სრულად იქნება დაცული სასამართლოს და მედიის დამოუკიდებლობა, რადგან სწორედ ამ ორ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ ინსტიტუტზე დგას ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, — ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

მისივე თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოს პრეროგატივაა.

— პროცესი უნდა წარიმართოს მაქსიმალურად ღიად, რათა საზოგადოებამ მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. ხელისუფლებამ, მედიამ, სასამართლომ და საზოგადოებამ — ყველამ უნდა უზრუნველვყოთ როგორც მედიის, ისე სასამართლოს დამოუკიდებლობა, რათა არავის მხრიდან არ მოხდეს ამ ინსტიტუტების გამოყენება ვინმეს პარტიული თუ პოლიტიკური მიზნებისთვის, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

### წულუკიანი კელის წინააღმდეგ

საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს არ მოეწონა აშშ-ის ელჩის, იან კელის მიერ რუსთავი 2-ის საქმეზე გაკეთებული განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ პროცესები ღამით განვითარდა და მათ პოლიტიკური შინაარსი აქვს.

— მე რომ ურთმელიძე ვყოფილიყავი, კიდევ უფრო კარგ გადაწყვეტილებას დავწერდი, მაგრამ არც ეს გადაწყვეტილება გამოიყურება ცუდად და, რაც მთავარია, ის არ არის ანტიკონსტიტუციური. კიდევ ერთხელ მოვითხოვ, რომ აშშ-ის საელჩომ განმარტოს, რას ნიშნავს „ღამით მოხდა მოვლენები". სასამართლო გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში შემოვიდა 18:00 საათზე და დღეს დილით 09:20 საათზე რეგისტრაციაში გატარდა, მინდა ხელი დამიდონ დოკუმენტზე, რა არის ღამე მომხდარი, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

აი, კელის ის განცხადება, რომელმაც თეა წულუკიანი ასე გააბრაზა:

— აშშ-ის საელჩო უაღრესად შეშფოთებულია რუსთავი 2-ის მართვასა და საკუთრებასთან დაკავშირებით შუა ღამეს განვითარებული მოვლენებით.

სააპელაციო პროცესამდე არხის მმართველობის შეცვლის მცდელობას საფუძვლიანი პოლიტიკური შინაარსი აქვს. დემოკრატიულ საზოგადოებაში კრიტიკული აზრს ხელი უნდა შეეწყოს და არა — მიჩუმდეს.

ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერას. მოვუწოდებთ მთავრობას, დაიცვას მედიის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპები, რაც ამ მისწრაფებათა განუყოფელი ნაწილია.

ამავე დროს, მოვუწოდებთ ყველა მხარეს, თავი შეიკავოს ძალადობისაგან და ხელი შეუწყოს დიალოგის გზით ვითარების მშვიდობიან მოგვარებას.

იან კელის ეს განცხადება აშშ-ის საელჩოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა.

### „პროცესები შეიძლება გამწვავდეს"

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო" რუსთავი 2-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

ფონდი თვლის, რომ სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ მართლწესრიგს და ქმნის პროცესების გამწვავების საფრთხეს.

— საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით შეჩერდა დაუყოვნებლივი აღსრულების ინსტიტუტის მოქმედება, ქმნიდა შანსს, ტელეკომპანიასთან დაკავშირებული პროცესები დარჩენილიყო სასამართლო დარბაზში და არ გადაენაცვლა ქუჩაში, — ნათქვამია ფონდის განცხადებაში.

ფონდი თვლის, რომ საქალაქო სასამართლოს განჩინება, თანმდევი ფაქტობრივი შედეგების გათვალისწინებით, წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციური კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილების სულისკვეთებასთან, ხოლო განჩინებაში არსებული დასაბუთება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას არ შეესაბამება.

— სასამართლოს მიღებული განჩინება, უფრო ფართო კონტექსტში, აჩენს სამართლებრივი ინსტიტუტების პოლიტიზების ძლიერ ეჭვს. მიმდინარე პროცესები სცდება არა მხოლოდ კერძო სამართლებრივი დავის ფარგლებს, არამედ გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის დამოუკიდებლობის საკითხებს, — აცხადებენ ფონდში.

ფონდს მიაჩნია, რომ პროცესში ჩართულმა პირებმა უნდა მიმართონ ყველა დემოკრატიულ ზომას, რომ შეინარჩუნონ სამოქალაქო მშვიდობა.

— ყველას უნდა გვახსოვდეს, ამგვარი ქმედებებით რა ზიანი შეიძლება მიადგეს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, — ნათქვამია განცხადებაში.

### ნანუაშვილი: „მოსამართლის განჩინება დაუსაბუთებელია"

6 ნოემბერს განცხადება სახალხო დამცველმაც გაავრცელა.

როგორც უჩა ნანუაშვილი აღნიშნავს, სასამართლოს მიერ 5 ნოემბერს მიღებული განჩინება დაუსაბუთებელია და არღვევს ტელეკომპანია

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ქიბარ ხალვაში რუსთავი 2-ის წილის ნახევარს დავით დვალს და ჯარჯი აქიმიძეს უთმობს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გთხოვთ ამოიღოთ. მანდ იყო ძალიან მაღალი დონის თანამდებობის პირების დანაშაული, — განაცხადა ხალვაშმა და აღნიშნა, რომ ამაში ჩარეული იყვნენ სააკაშვილი, ადეიშვილი, ოქრუაშვილი და მთელი ხელისუფლება.

### დავით დვალი: „პოლიციას არ გამოვიძახებთ"

— თუ შემომიშვებთ რუსთავი 2-ში, ან თუ გნებავთ, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მზად ვარ, ყველას გესაუბროთ და ნებისმიერ შეკითხვას გავცე პასუხი, — განაცხადა პრესკონფერენციაზე დავით დვალმა.

— აპირებენ თუ არა რუსთავი 2-ის დროებითი მმართველები ტელეკომპანიის უფლებამოსილებაშეჩერებულ დირექტორთან და კოლექტივთან შეხვედრას დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად?

ამ შეკითხვაზე დვალმა უპასუხა, რომ იგი სრულ მზაობას გამოთქვამს.

— მე თქვენ გიყურებთ, როგორც ჩემს მომავალ თანამშრომლებს. სადაც გინდათ, როგორც გინდათ, შევხვდეთ. ვისაუბროთ ყველა ეჭვზე, რომელიც გაგაჩნიათ და ნებისმიერ მძიმე საკითხზე, — განაცხადა დავით დვალმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ დროებითი მმართველები ტელეკომპანიაში ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე აპირებენ მისვლას, თუმცა მას ზუსტი დრო არ დაუსახელებია.

ასევე, დვალმა აღნიშნა, რომ პოლიცია გამოძახებული არ იქნება, რადგან დროებითი მმართველების მიზანია, ყოველგვარი დაძაბულობა იქნას თავიდან აცილებული.



— პოლიციას არ გამოვიძახებთ, — განაცხადა დავით დვალმა.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატის, პაატა სალია თქმით კი, ტელეკომპანიაში შესვლის პროცესს იძულების ფორმა არ ექნება.

— მათ კეთილი უნდა ინებონ და ითანამშრომლონ, იმ მიზნით, რომ კომპანიამ განაგრძოს საქმიანობა. ისინი არიან დროებით უფლებამოსილება შეჩერებულები და არა — გათავისუფლებულები. მათ აქვთ ვალდებულება, ითანამშრომლონ ახალ მმართველებთან, რომ მოხდეს აჟიოტაჟის გარეშე მიმდინარე საქმიანობის გადაბარება. ჩვენ ველით, რომ ეს ადამიანები ასე მოიქცევიან და კანონს დაემორჩილებიან, — განაცხადა პაატა სალიამ.

ჯარჯი აქიმიძის თქმით, ტელეკომპანიაში შესვლის პროცესში არ მოხდება „სპექტაკლის" დადგმა, როგორც ნიკა გვარამია იქცეოდა.

— დღეს არის 6 ნოემბერი, ისეთი რამ, რაც იყო გვარამიას მიერ დადგმული სპექტაკლი 7 ნოემბრის დოკუმენტური კინოს შესახებ, არ იქნება. არავინ არ შერბის და არავინ აკეთებს იმას, რაც მათ გააკეთეს, შემდეგ კი გაახმოვანეს, დაარქვეს სახელმწიფო გადატრიალება და თურმე დღეს არის დემოკრატიის და თავისუფალი სიტყვის დამცველი, როდესაც დუბინკებით დასდევდნენ კოლეგებს, — განაცხადა ჯარჯი აქიმიძემ.

### დროებითი მმართველები რუსთავი 2-ში ჯერ არ მივლენ

6 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში რეზო საყევარიშვილმა და დავით დვალმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

— ვინაიდან საქალაქო სასამართლოს 5 ნოემბრის განჩინება არ არის საბოლოო, ექვემდებარება გასაჩივრებას ჯერ პირველ ინსტანციაში, ხოლო შემდგომ სააპელაციო სასამართლოში და არსებობს სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ტელევიზიის დროებით მმართველებად ჩვენი დანიშვნის გადაწყვეტილება შეიცვალოს, ჩვენ ვაპირებთ, დაველოდოთ გასაჩივრების შედეგებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლოს ეს განჩინება გაივლის გასაჩივრების ყველა ეტაპს და მიიღებს საბოლოო სახეს, მხოლოდ ამის შემდეგ მივიდეთ ტელევიზიაში და შევასრულოთ ხსენებული განჩინებით ჩვენზე დაკისრებული უფლებამოვალეობები, — ნათქვამია საყევარიშვილისა და დვალის განცხადებაში.

ამასთან, ტელეკომპანიის დროებითი მმართველები არხის მოქმედ პარტნიორებს, ყარამანიშვილებს, მიმართავენ, წამოაყენონ ნებისმიერი კანდიდატურა რუსთავი 2-ის გენერალური და ფინანსური დირექტორების თანამდებობაზე, რომელთაც დაუყოვნებლივ მიანიჭებენ სრულ უფლებამოსილებას ტელეკომპანიის მართვის საკითხებში.

— ასევე, ვინაიდან, ამ ეტაპზე, რუსთავი 2-ის გენერალურ და ფინანსურ დირექტორებს შეჩერებული აქვთ უფლებამოსილება, მზად ვართ, გავიზიაროთ მოქმედი პარტნიორების, კერძოდ, ყარამანიშვილების სურვილი და მათ მიერ წარმოდგენილ ნებისმიერ კანდიდატს დაუყოვნებლივ მივანიჭოთ სრული უფლებამოსილება ტელეკომპანიის მართვის საკითხებში, — ნათქვამია განცხადებაში.

დვალი და საყევარიშვილი აცხადებენ, რომ ელოდებიან ყარამანიშვილების კანდიდატურას, რომ არ შეიქმნას ტელეკომპანიის საქმიანობაში სამართლებრივი ვაკუუმი და, შესაბამისად, ტელეკომპანიას არ შეექმნას გარკვეული პრობლემები საქმიანობაში.

— ჩვენ, რუსთავი 2-ის დროებითი მმართველები, ყველაზე მეტად ვართ დაინტერესებულები, რომ ტელეკომპანიამ შეუფერხებლად განაგრძოს მაუწყებლობა. ეს საქართველოს საზოგადოების უმთავრესი დაკვეთაა, — აღნიშნულია განცხადებაში.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გუგული მაღრაძე: „ნაციონალი ლიდერის გვერდით სუფრასთან არ უნდა დავსხდეთ“

## „რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე მოვლენები სამართლებრივ ჩარჩოებს არ გასცილებია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ტელეკომპანია რუსთავი 2-ში დროებითი მმართველების დანიშვნამ გააჩინა ახალი საფუძველი ხელისუფლების საკრიტიკებლად. გაკეთდა განცხადებები იმაზე, რომ ხელისუფლება ამყარებს დიქტატურასა და კონტროლს მედიაზე.**



პარლამენტის უმრავლესობის წევრი გუგული მაღრაძე ასეთ აჟიოტაჟს უსამართლოს უწოდებს.

— პროცესი არ გასცილებია სამართლებრივ ჩარჩოებს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ტელევიზიაში შეიცვალა ანუ დროებით დაინიშნა ორი ადამიანი — გენერალური და ფინანსური დირექტორები. მოსამართლეს ამის სრული უფლება ჰქონდა, ვინაიდან სასამართლომ ქიბარ ხალვაშს ტელეკომპანიაში თავისი წილი დაუბრუნა. განცხადებები იმის თაობაზე, თითქოს ხელისუფლება ტელევიზიაზე კონტროლს ამყარებს, ჰიპოთეზაა და რეალობას არ შეესაბამება, — განუცხადა „ახალ თაობას“ გუგული მაღრაძემ.

*— „ქართულ ოცნებას“ ბოლო დროს ხშირად ადანაშაულებენ თავისუფალი სიტყვის შეზღუდვაში.*

— „ქართული ოცნება“ რომ თავისუფალ სიტყვას ახშობდეს, არ იქნებოდა ამდენი ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთი და სხვა მედიასაშუალება. ისინი თავისუფლად მუშაობენ, ძალიან ხშირად აკრიტიკებენ ხელისუფლებას. მედიაში არც ისე იშვიათია პიროვნებების შეურაცხყოფა, ცილისწამება, მუქარა. ჩვენ ამას მშვიდად, საყვედურების გარეშე ვხვდებით. ბიძინა ივანიშვილი იყო მეცხრე არხის დამფუძნებელი. მან ეს არხი დახურა.

*— ხელისუფლების მიმართ მუქარაში რა იგულისხმეთ?*

— ჩვენ გვემუქრებიან, თუ ვინმე ქონებას დაიბრუნებს, ხელისუფლება ცუდ დღეში ჩავარდებაო. ამ დროს ინდივიდს შეაქვს სარჩელი ქონებისა თუ წილების დაბრუნების მიზნით. საქმეს განიხილავს სასამართლო. ხელისუფლება პროცესში არ ერევა. ამის მიუხედავად, გაისმის მუქარა, საპასუხოდ იგეგმება არეულობა.

*— შესაძლო არეულობაზე ფარულ ჩანაწერებში საუბრობდნენ.*

— საქმე გამოძიებაშია. გარკვეული დასკვნების გამოტანა მოსმენილიდან ჩვენც შეგვიძლია. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ლაპარაკობენ არა შეურაცხადი პირები, არამედ ნორმალური ადამიანები. მათგან ზოგი დეპუტატი ან თანამდებობის პირია, ზოგი — უცხოეთში მცხოვრები ყოფილი მაღალჩინოსანი. ამ მაღალჩინოსნებმა საქართველოდან იმდენი ფული წაიღეს, რომ საზღვარგარეთ ოჯახებით ცხოვრობენ. ისინი სერიოზულ განცხადებებს აკეთებენ. საუბარია მობილიზაციაზე, იარაღსა და ბარიკადებზე. მათი გათვლებით, უცხოეთში გატანილი ფული უნდა მოხმარდეს არეულობას. ეს ხალხი ისევ ფლობს ფინანსურ რესურსს საქართველოში.

*— რატომ?*

— იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არ მოიქცა ნაციონალური მოძრაობის მსგავსად. ნაციონალებმა ბიზნესმენები ან ციხეში გაუშვეს, ან ქონება დაათმობინეს. ჩვენ ეს არ გაგვიკეთებია. ახლა ეს პირები გეგმავდნენ არეულობას. საშინელი მოსასმენი იყო, როცა ახსენეს მოსალოდნელი მსხვერპლი — დედა და ბავშვები. ამ საუბრის გამოქვეყნებამდე იყო მოწოდება, რომ რუსთავი 2-ის დასაცავად შვილებთან ერთად მისულიყვნენ.

*— სამართლიანობის აღდგენა მაინც ხომ აუცილებელია?*

— სამართალი უნდა აღდგეს სასამართლოს გზით. ხელისუფლება ამაში არ უნდა ჩაერიოს. ინდივიდებმა უნდა მიმართონ სასამართლოს. მასობრივი დანაშაულიც ხდებოდა. შემსრულებლები არ დასჯილან, მაგრამ ორგანიზატორები და ბრძანების გამცემები პასუხისგებაში მიეცნენ. ყველაფერი უნდა მოექცეს სასამართლოს ჩარჩოებში. მთავარია, სასამართლო იყოს დამოუკიდებელი. ჩვენს მოსამართლეებს კვალიფიკაცია არ აკლიათ. დაზარალებულმა მოქალაქეებმა მაგალითი ხალვაშისგან უნდა აიღონ.

*— ზოგიერთი თქვენი კოლეგა უმრავლესობიდან ნაცმოძრაობის გასამართლებასა და საქმიანობის შეფასებას მოითხოვს.*

— ასეთი მოთხოვნა კოლეგებშიც არსებობს და საზოგადოების დიდ ნაწილშიც. ეს გასაკვირი არ არის. დავიწყოთ სამართლებრივი შეფასებით. ეს რომ მოხდეს, უამრავი ფაქტია აუცილებელი, რომელიც დაამტკიცებს, რომ წინა ხელისუფლება ახორციელებდა ანტიჰუმანურ სისტემურ დანაშაულს. ასეთი ფაქტების გარკვეული რაოდენობა არსებობს. ამ რეჟიმის პოლიტიკური შეფასება ასეთი მარტივი არ არის იმ დროს, როცა ნაცმოძრაობას ჰყავს მხარდამჭერები და ლობისტები ბევრ სტრუქტურაში. ჩემი აზრით, ნაცმოძრაობას განაჩენი თავად საზოგადოებამ უნდა გამოუტანოს.

*— საზოგადოებამ რა უნდა გააკეთოს?*

— არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ძალადობას, ცემა-ტყეპასა და მივარდნებს. საზოგადოებას შეურიგებელი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წვეულების დატოვება, როცა იქ ნაცმოძრაობის რომელიმე ლიდერია. ასევე ხალხმა უნდა გაიგოს, რომ როცა რუსთავი 2-ის შენობასთან ეძახიან, ეს არ არის თავისუფალი მედიის მხარდაჭერა. ეს არის ნაციონალების მიერ აგორებულ ტალღაში მონაწილეობა.

ნაციონალური მოძრაობის გასამართლებაზე, ალბათ, კიდევ მოვისმენთ განცხადებებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ მთავარი აქცენტი უნდა გავაკეთოთ არა ამ დისკრედიტირებულ პარტიაზე, არამედ იმაზე, თუ რას ვაკეთებთ და კიდევ რის გაკეთებას ვაპირებთ ქვეყნისათვის. ნაცმოძრაობა კი ვერც არეულობას მოაწყობს და დაიშლება კიდეც. იქ სერიოზული დინებებია დაწყებული.

# ლევან ბერძენიშვილი: „პრობლემა ის არის, რომ სასამართლოები მხარეებად იკვეთებიან“

## „რუსთავი 2-ის მეპატრონის საკითხი ჩემთვის უმნიშვნელოა“

ნათია ხურცილავა

**პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საკონსტიტუციოც და საქალაქო სასამართლოც პოლიტიკურ სიმპათიებს ამჟღავნებენ, რაც მიუღებელია.**



— მე არ ვარ იურისტი და ვერ ჩავიხედავ მათ გადაწყვეტილებებში, მაგრამ თვითონ მუშაობის სტილი, ნაჩქარევი, სწრაფი გადაწყვეტილებები საკონსტიტუციო სასამართლოში თუ საქალაქო სასამართლოში მიუთითებს, რომ აქ არის ინტერესები, რომლებიც გასცდა იმ საქმეს, რომელიც ჩვენს ქვეყანას სჭირდება. მიღებული გადაწყვეტილებები არცერთი არ არის საქართველოსთვის სასარგებლო.

*— კონკრეტულად რას გულისხმობთ?*

— იმას, რომ ჩვენი ევროპული ინტეგრაციისთვის არც მოსამართლის გადაწყვეტილება და არც მისი აღსრულება და არც მისი არააღსრულება ევროპაში არ მიგვიყვანს. ამიტომ ყველა მხარეს მოვუწოდებ, დარჩნენ კანონიერების სივრცეში. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ასევე უნდა მივმართოთ მოსამართლეებსაც და შევახსენოთ, რომ ყველანი ჩვენ, მოსამართლეები, პარლამენტის წევრები თუ სხვები უნდა ვიყოთ კონსტიტუციის ქვეშ და ვმოქმედებდეთ კანონის ფარგლებში.

*— ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი მოსამართლის მიერ ღამე მიღებულ გადაწყვეტილებას უკავშირდება. შეიძლება, პარალელი გაჩნდეს სააკაშვილის მმართველობის დროს ღამეულ გადაფორმებებთან?*

— მოსამართლეს გადაწყვეტილება 24 საათის განმავლობაში უნდა მიეღო. ეს, შეიძლება, ღამეც მომხდარიყო და დილითაც. აქ არ არის პრობლემა ღამეში, დილითაც რომ მიეღო, იგივე პრობლემა გვექნებოდა. პრობლემა ის არის, რომ ეს გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, ობიექტურად არ არის მიღებული, ისევე, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, არ იყო ობიექტურად მიღებული. ეს სასამართლოები მხარეებად იკვეთებიან, რაც წარმოუდგენლად ცუდია ჩვენი ქვეყნისთვის.

*— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ნაციონალურ მოძრაობასთან კავშირზე ხშირად არის საუბარი.*

— ჩვენ ვერც ერთი სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერაფერს ვუზამთ. ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ მოწოდება შეგვიძლია, რომ საკანონმდებლო სივრცეში დავრჩეთ, განსაკუთრებით იმ მოქალაქეებს მივმართავ, რომლებიც აცხადებენ, რომ კანონს არ აღასრულებენ და წინააღმდეგობას გაუწევენ.

*— ირაკლი ალასანიამ პრემიერს, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწოდა, რომ ერთობლივი შეხვედრები დაიგეგმოს, რათა პროცესები წარიმართოს გონივრულ გარემოში და დემოკრატიული პროცესი ქვეყანაში არ შეფერხდეს. რას იტყვით?*

— მე ყოველთვის მზად ვარ, ველაპარაკო ბატონ ალასანიას, მაგრამ მან განცხადება გააკეთა ხელმძღვანელი პირების მიმართ. პოლიტიკური ლიდერები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ სასაუბროდ. მე ვეთანხმები პათოსს, მაგრამ დანარჩენი ჩემზე არ არის დამოკიდებული.

*— საგანგებო პრესკონფერენციიდან, რომელიც ქიბარ ხალვაშმა გამართა, გაირკვა, რომ რუსთავი 2-ის წილის 50%-ს ხალვაში დავით დვალსა და ჯარჯი აქიმიძეს უბრუნებს. ამაზე რა შეგიძლია თქვათ?*

— ამ ხალხთან პრეტენზია არ მაქვს. ხალვაშთან, დვალთან და აქიმიძესთან კითხვები ნამდვილად არ მაქვს. ჩვენ კითხვები მოსამართლეებთან გვაქვს. მეპატრონის საკითხი ამ შემთხვევაში ჩემთვის უმნიშვნელოა. მე აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ მათ მიმართ კანონი ნამდვილად იყო დარღვეული და ეს ადამიანები თავიანთი უფლებებისთვის იბრძოლებენ. ეს დემოკრატიის ერთ-ერთი ნაწილია. ამიტომ, მათ რა განცხადება გააკეთეს და რას აპირებენ, ეს ჩემი პრობლემა ნამდვილად არ არის. საქმე სხვაგან არის.

*— პრობლემას სად ხედავთ?*

— ჩვენ კითხვები გაგვიჩნდა მას შემდეგ, რაც ღამე თუ დღისით, რა მნიშვნელობა აქვს, მოსმენის გარეშე, მალული გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კითხვები გვიჩნდება — საკონსტიტუციო სასამართლო თუ საქალაქო სასამართლო რევოლუციური გზებით ხომ არ მოქმედებენ. ჩვენ სასამართლოსგან სხვანაირ მოქმედებას ვართ მიჩვეული, აქ პინგ-პონგი წავიდა. ეს, შეიძლება, არ დამთავრდეს, კიდევ გაგრძელდეს.

# თინა ხიდაშელი: „ჩვენ ახალგაზრდები არა ჯარში, არამედ ყარაულში გვყავს გაწვეული“



თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის აზრით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის შენარჩუნების შემთხვევაში, გაწვევის სისტემა მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს.

როგორც ამასთან დაკავშირებით ხიდაშელმა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე განმარტა, რეალურად ხდება ახალგაზრდების არა ჯარში, არამედ ყარაულში გაწვევა.

მისივე თქმით, თუკი სამხედრო სავალდებულო სამსახური შენარჩუნდება, გაწვევის ვადა 1 წლიდან 6 თვემდე უნდა შემცირდეს.

თინა ხიდაშელი:

— სინამდვილეში არის ის, რომ ჩვენ ახალგაზრდები არა ჯარში, არამედ ყარაულში გვყავს გაწვეული. ეს ადამიანები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას წყდებიან იმიტომ, რომ იყვნენ ყარაულში და არა სამშობლოს სამსახურში. ისინი არ არიან გამოსადეგი იმ მიზნებისა და ამოცანებისთვის, რისთვისაც სინამდვილეში გაწვევა უნდა ხდებოდეს.

ჩვენი პოზიცია ასეთია — თუ გაწვევას ვტოვებთ, მაშინ ეს უნდა იყოს რეალურად იმ ამოცანებზე პასუხი, რომელიც ქვეყანას აქვს. ისინი უნდა იყვნენ შემძლე, რომ ხვალ საკუთარი ქვეყანა დაიცვან, ასეთი საჭიროების გაჩენის შემთხვევაში. თუ ვტოვებთ გაწვევას, მაშინ უნდა ვიფიქროთ ვადებზეც — შეიძლება გავანახევროთ გაწვევის ვადა და იყოს ის არა ერთ წლიანი, არამედ 6-თვიანი.

მინისტრის შეფასებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის შენარჩუნების შემთხვევაში, კერძო სექტორს გაწვეული პირებისთვის სამსახურის შენარჩუნების ვალდებულება უნდა დაეკისროს.

— თუ ვტოვებთ გაწვევას, აბსოლუტურად აუცილებელია, რომ დამსაქმებლებს, სადაც ეს ახალგაზრდები მუშაობენ და საიდანაც მათ ვწყვეტთ, ჰქონდეთ ვალდებულება, შეუნარჩუნონ მათ სამსახური, ანუ 6 თვის, თუ 1 წლის შემდეგ მათ უნდა ჰქონდეთ სამსახურში დაბრუნების საშუალება. თუ კი ამას აკეთებენ სახელმწიფო დაწესებულებები, ვფიქრობ, ანალოგიური ვალდებულება კერძო სექტორსაც უნდა დავაკისროთ, რათა ეს ახალგაზრდები ქუჩაში არ დარჩნენ, — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

# „რესპუბლიკური პარტია „ქართულ ოცნებას“ ზურგზე მორიელივით აზის“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „აშშ-ის ელჩი აქ გადატრიალების მოსაწყობად ჩამოვიდა?“

შორენა მარსაგიშვილი

რა თამაშს თამაშობენ რესპუბლიკელები, რა კარგი საქმე გაკეთდა რუსთავი 2-ის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟით, სად მიექანება ირაკლი ალასანია, ვინ ახორციელებს მოსამართლეებზე ზეწოლას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– როგორც მოსალოდნელი იყო, რუსთავი 2-თან დაკავშირებით ორაზროვანი განცხადებები გააკეთეს დავით უსუფაშვილმა და ძმებმა ბერძენიშვილებმა, თინა ხიდაშელმა კი თქვა, კომენტარს არ გავაკეთებო. რესპუბლიკური პარტიის პოზიცია ჩემთვის სრულიად გასაგებია. მათ იმედი აქვთ, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ხელისუფლების მისამართით მკაცრ განცხადებებს გააკეთებს, რის შემდეგაც ესენი გამოვლენ და იტყვიან, რომ ემიჯნებიან კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

კანონი რომ დარღვეულიყო, კიდევ გავიგებდი მათი განცხადებების პათოსს, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსამართლე ურთმელიძეს კანონი არ დაურღვევია. მოსამართლეს რომელ საათზეც უნდა, მაშინ მიიღებს გადაწყვეტილებას და ეს რესპუბლიკელების საქმე არ არის. თუ რაიმე უკანონობა მოხდა, გაასაჩივრონ, რად უნდა ამას წივილ-კივილი, თანაც განაჩენი შუაღამეზე სულაც არ ყოფილა გამოტანილი და ურთმელიძემ გადაწყვეტილება 5 ნოემბერს, 17 საათზე მიიღო. ამასთან დაკავშირებით განმარტებები თეა წულუკიანმაც გააკეთა. რესპუბლიკელები თუ ასეთი კანონმორჩილები არიან, გვარამიას განცხადებები შეაფასონ.

***– რომელი განცხადებები? გვარამიამ ბევრი განცხადება გააკეთა.***

– გვარამია ამბობს, მე რუსთავი 2-დან გარეთ არ გავალ და, ხელისუფლებას თუ უნდა, ძალა გამოიყენოსო. აი, ეს უნდა შეაფასონ რესპუბლიკელებმა. ამის მაგივრად ისინი ორაზროვან განცხადებებს აკეთებენ და ალასანია-ნაციონალებთან მისასვლელ გზას იტოვებენ.

რესპუბლიკელების განცხადებები უკვე აღარავის უკვირს, მაგრამ დავით ზურაბიშვილი ყოველგვარ ზღვარს გადავიდა. მის ფსიქიკაში უკვე ეჭვი მეპარება. გამოდის და ყოველდღე ერთ ადგილს აგინებს ივანიშვილსა და ღარიბაშვილს. თუ ასე არ მოგწონს ეს გუნდი, ადექი და დატოვე სახელისუფლებო ძალა.

იგივე მინდა ვუთხრა ძმებ ბერძენიშვილებს, რომ გამოხტებიან და საშინელებებს ლაპარაკობენ. რატომ არიან ასეთი ბოღმიანები და ღვარძლიანები, ვერ გავიგე. თუ არ მოსწონთ ეს მთავრობა, გაემიჯნონ. იმდენს იზამენ, ერთ დღესაც გამოვა ირაკლი ღარიბაშვილი და ეტყვის, წადით კოალიციიდანო, თუ მანამდე თავად არ წავიდნენ.

***– ახლა რატომ არ მიდიან?***

– იმიტომ, რომ 3%-იანები არიან. მართლა ხომ არ გგონიათ, რომ საგარეჯო რესპუბლიკელებმა მოიგეს? მაგათ აქვთ ჩანაფიქრი, რომ სახელმწიფო რესურსით როგორმე გაძლიერდნენ და სამომავლო გეგმებს აწყობენ. რესპუბლიკური პარტია „ქართული ოცნების“ ზურგზე არის მორიელი და, რაც მალე გათავისუფლდებიან ამ მორიელისგან, უკეთესი იქნება როგორც მათთვის, ასევე ქვეყნისთვის.

თუ გინდათ, წინასწარ გაიგოთ, რას ფიქრობენ ამა თუ იმ საკითხზე რესპები, მოუსმინეთ ნაციონალების განცხადებებს. რესპუბლიკელები იმავეს გაიმეორებენ, ოღონდ – განსხვავებული სიტყვებით.

***– გასაგებია, რომ რესპუბლიკელები კოალიციაში არიან, მაგრამ მათ ხომ აქვთ უფლება, განსხვავებული პოზიცია დააფიქსირონ?***

– უფლება როგორ არა აქვთ, მაგრამ, როგორ შეიძლება, დღედაღამ ხელისუფლებას აგინებდე და თან სახელისუფლებო გუნდში რჩებოდე. ასე იქცეოდა ირაკლი ალასანიაც, ხელისუფლებაში როცა იყო. სულ ვამხელდი მის მოღალატეობას და ბევრს არ სჯეროდა. ახლა ხომ ყველამ დაიჯერა, ვინც არის ეს ალასანია! ეგეთები არიან ეს რესპუბლიკელებიც. ორივენი პოლიტიკურ საფლავში ჩაჰყვებიან ნაციონალებს.

რესპუბლიკელივით უსირცხვილო უნდა იყო, 5 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი 2007 წლის ტელეიმედის დარბევას რომ შეადარო. თუ ასეთი სამართლიანები არიან, იმაზე რატომ არ ამოიღეს ხმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ მოსამართლეებზე ზეწოლა რომ განახორციელა!

***– როდის და სად განახორციელა ზეწოლა?***

– მიმდინარე წლის 4 ნოემბერს ლევან მურუსიძემ განაცხადა, რომ დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი ის ჩანაწერები, რომლებიც უკრაინულმა მედიამ გამოაქვეყნა. საუბარია იმ ჩანაწერებზე, რომლებზეც 315-ე მუხლით აღიძრა საქმე. მურუსიძის თქმით, აღნიშნულ საქმეზე ამ ფირების მტკიცებულებად ცნობა არ შეიძლება, რადგან ისინი უკანონოდ არის მოპოვებული.

ლევან მურუსიძის ეს განცხადება გახლავთ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მოსამართლეებზე ზეწოლას ახორციელებს და მათ აქცევს ჩარჩოებში. ვინ ეკითხება მურუსიძეს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო! ან მან რა იცის, ეს ფირები უკანონოდ არის თუ არა მოპოვებული!

მან, როგორც იურისტმა, წესით, უნდა იცოდეს, რომ გამოძიებით უნდა დადგინდეს, რა ფორმით მოხდა ამ ჩანაწერების გაკეთება. ამაზე უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, ხომ არ არის დამახინჯებული მონტაჟი, რის შემდეგაც ფირის ავთენტურობა დადგინდება.

ჩვენ უკვე გვაქვს ერთი მაგალითი, როცა ჰაკიმ ფაშას სახელით ატვირთული ვიდეოები მტკიცებულებად დაედო საქმეს და მოსამართლემ მოულოდნელად ნივთიერ მტკიცებულებად არ ცნო. ეს გადაწყვეტილება ნაციონალებთან დაახლოებულმა მოსამართლე მგელიაშვილმა მიიღო. ყოფილი ხელისუფლება ახლა გაჰყვირის, ურთმელიძე არის ხელისუფლების გავლენის ქვეშო. გავლენის ქვეშ არის მთელი სასამართლო ხელისუფლება, ოღონდ ნაციონალების გავლენის ქვეშ და ერთ-ერთი მათგანი არის ურთმელიძე. რესპუბლიკელებს არც ეს გაუპროტესტებიათ.

***– ურთმელიძე რანაირად არის ნაციონალების გავლენის ქვეშ?***

– მურუსიძე, აბა, ვინ არის? გამოდის და მოსამართლეებს მოუწოდებს, ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღონ. სააკაშვილის გუნდი იმდენად შეშინებულია, რომ ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა და ამ საქმეში სასამართლო ხელისუფლების ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურაც კი ჩართო, როგორიც მურუსიძეა.

მაინტერესებს, რესპუბლიკელები რატომ არ გამოვიდნენ და არ იკითხეს, საიდან ასკვნის მურუსიძე, რომ ეს ჩანაწერები უკანონოდ არის მოპოვებული. რატომ არავინ ითვალისწინებს იმას, რომ მიხეილ სააკაშვილზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მასზე ძებნაა გამოცხადებული. აქედან გამომდინარე, სრულიად ნორმალურია, მისი სატელეფონო საუბრების მოსმენა ხორციელდებოდეს.

***– თქვენ უშვებთ იმას, რომ ყოფილ პრეზიდენტს საქართველოს ხელისუფლება უსმენს?***

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მასზე ძებნაა გამოცხადებული, წესით, უნდა უსმენდნენ. ეს ფირები ისეთი მაღალი ხარისხით არის ჩაწერილი, რომ მგონია, ისინი უკრაინის სპეცსამსახურების მიერ არის გაკეთებული. ამ ადამიანმა ლამის ნახევარ უკრაინას გამოუცხადა ომი. რატომ გგონიათ, რომ კიევში მის წინააღმდეგ საქმე არ არის აღძრული და არ უსმენენ? მასთან დაკავშირებით უკრაინის პრემიერმა არსენ იაცენიუკმა პირდაპირ თქვა, თუ ასეთი აღმშენებელი იყო სააკაშვილი, სამშობლოში რატომ ვერ ბრუნდებაო.



ეს ყველაფერი არის ვარაუდები და გამოძიებით უნდა დადგინდეს, რანაირად მოხდა ამ ჩანაწერების მოპოვება. ამაზე იდავონ რესპუბლიკელებმა და უაზრო წივილ-კივილს თავი დაანებონ.

ნიკოლოზ მჟავანაძემ არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები რუსთავი 2-თან დაკავშირებით, მაგრამ ერთი კარგი რამ გაკეთდა – მოხდა ყველას ლუსტრირება და ხალხმა დაინახა, ვინ ვინ არის.

– ხელისუფლებას ვურჩევ, რაც შეიძლება მალე გათავისუფლდნენ მოღალატე რესპუბლიკელებისგან, რომლებიც მათ, როგორც უკვე აღვნიშნე, მორიელებივით ასხედან. ამის გარდა, ხელისუფლებამ დიპლომატებთანაც უნდა გამართოს შეხვედრა და მათგან განმარტებები მოისმინოს. განსაკუთრებულად ამერიკის ელჩს უნდა დაელაპარაკონ.

მისი განცხადებები ერთი ერთში ემთხვევა ნაციონალების განცხადებებს. მაინტერესებს, ეგ იან კელი აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ გადატრიალება მოაწყოს?! – აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

# ბრძოლა წესების გარეშე

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რუსთავის 2-ის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.

უჩა ნანუაშვილის განცხადებითვე, 5 ნოემბრის გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოსამართლის მიუკერძოებლობას, არამედ ავლენს თავად სასამართლო სისტემაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს.

– დროებითი მმართველის დანიშვნა კანონის განჭვრეტადობის პრინციპსაც ეწინააღმდეგება, ვინაიდან ასეთი შესაძლებლობა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის. როგორც ჩანს, 5 ნოემბრის განჩინებაში მოსამართლე დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია უზრუნველყოფის „სხვა ღონისძიებების“ გამოყენებაც, თუ ეს აუცილებელია, – ნათქვამია განცხადებაში.

სახალხო დამცველისათვის არ არის ცნობილი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებად დროებითი მმართველის დანიშვნის გამოყენების შესახებ. საგულისხმოა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში ეყრდნობა ამერიკულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას.

– სასამართლოს განხილვის საგანი არ შეიძლება გამხდარიყო ის, თუ რა ფორმით უნდა გააგრძელოს მაუწყებლობა რუსთავი 2-მა და ამგვარი გადაწყვეტილება საგანგაშო კითხვებს აჩენს, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს სასამართლოს დროებითი მმართველისათვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭების პირობებში, – ამბობს უჩა ნანუაშვილი.

სასამართლო განჩინებაში ასევე მსჯელობს, რომ დროებითი მმართველი უნდა იყოს მხარეებისაგან ნეიტრალური, დამოუკიდებელი პირი,



თუმცა, არ ასაბუთებს, როგორ აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს შერჩეული პირები – რევაზ საყევარიშვილი, დავით დვალი.

– მით უფრო, რომ დავით დვალი ასევე აცხადებს პრეტენზიას კომპანია რუსთავი 2-ზე როგორც მესაკუთრე და დღეს მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე სასამართლო დავაში, მოსარჩელე მხარე ქიბარ ხალვაშთან თანამშრომლობის დეტალებზე საუბრობენ, მის სასარგებლოდ სასამართლო დავის დასრულების შემთხვევაში, – ნათქვამია განცხადებაში.

უჩა ნანუაშვილის აზრით, მოსამართლის 5 ნოემბრის განჩინება ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ვინაიდან კომპანიის გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი, უფლებამოსილების შეჩერების გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, განჩინება თავად, ან წარმომადგენლების მეშვეობით გაასაჩივრონ ზემდგომ ინსტანციაში.

– ზემოთ ჩამოთვლილი ხარვეზები სასამართლოს 5 ნოემბრის განჩინების დაუსაბუთებლობასა და მისი ბუნების განუჭვრეტელობაზე მეტყველებს. 5 ნოემბრის გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოსამართლის მიუკერძოებლობას, არამედ ავლენს თავად სასამართლო სისტემაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს, – აღნიშნულია განცხადებაში.

### მარგველაშვილი „ოცნებას“: „ნუ ჩაიკეტებით“

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პრობლემის პოლიტიკურ ასპექტებს გაუსვა ხაზი.

მან მმართველ გუნდს მოუწოდა, თავი შეიკავოს არადიპლომატიური გამონათქვამებისგან და სიტუაციის შეფასებისას ნუ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური განცხადებით.

ამის შესახებ მარგველაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 6 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– რუსთავი 2-ის საქმის ირგვლივ ორი კვირის წინ შექმნილი დაძაბული ვითარება საზოგადოების ყველა სეგმენტის აქტიურობით განიმუხტა. თუმცა დღეს ისევ რთული გარემოების წინაშე აღმოვჩნდით, რაც ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს და საერთაშორისო რეპუტაციას აზარალებს. ამ შეფასებებში ერთიანია საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, დიპლომატები, პოლიტიკოსები, სახალხო დამცველი, პოლიტიკური პარტიები, მათ შორის მმართველ კოალიციაში შემავალი სუბიექტების ნაწილიც, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მან მოუწოდა მმართველ კოალიციას, არ ჩაიკეტოს საკუთარ თავში და გაითავისოს პოლიტიკური პროცესის მნიშვნელობა. გადადგას ქმედითი ნაბიჯები ქვეყნის დემოკრატიული იმიჯის დასაცავად; აწარმოოს დიალოგი საზოგადოებასთან და დიპლომატიურ კორპუსთან.

– განვითარებული პროცესები უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის შიდა ვითარებაზე, ასევე ჩვენს საგარეო იმიჯზე, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისი თქმით, უმნიშვნელოვანესია, რომ არავის დარჩეს კითხვები საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მედიის თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებით. – ჩვენი ვალია, უზრუნველვყოთ და დავიცვათ კანონის უზენაესობა, სამართლიანი სასამართლო, სიტყვის, გამოხატვისა და მედიის თავისუფლება, საკუთრებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, არჩევანის თავისუფლება. ჩვენი ვალია, გავაძლიეროთ და არ დავაზარალოთ ქართული სახელმწიფო. ეს ყველას უნდა გვახსოვდეს, – განაცხადა მარგველაშვილმა.

### დასავლეთი: „შეშფოთებით და ყურადღებით დავაკვირდებით“

6 ნოემბერს აშშ-ის საელჩომ, ევროკავშირის წარმომადგენლობამ და საქართველოში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საელჩოების ხელმძღვანელებმა რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

დიპლომატიური კორპუსი რუსთავი 2-ში ახალი მმართველების დანიშვნის გამო შეშფოთებას გამოთქვამს და ყველა პოლიტიკურ პირს მოუწოდებს, თავი შეიკავოს ნებისმიერი ნაბიჯისა თუ განცხადებისგან, რომელმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქართულ მართლმსაჯულებას.

– საკონსტიტუციო სასამართლოს ახლახან მიღებული დროებითი გადაწყვეტილებისა და რუსთავი 2-ის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს არსებითი განაჩენის ფონზე, რომელიც განაჩენის დაუყოვნებელ აღსრულებას არ ითვალისწინებს, 5 ნოემბერს მიღებული პრევენციული ზომები წარმოშობს სერიოზულ კითხვებს საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და მედიის თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებით, – ნათქვამია განცხადებაში.

მისი ავტორები მიუთითებენ, რომ საელჩოებმა არაერთხელ საჯაროდ განაცხადეს, რომ მედიის თავისუფლება და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა დემოკრატიის მნიშვნელოვანი საფუძველია. დემოკრატიულ საზოგადოებებში განსხვავებულ მოსაზრებებს ხელი უნდა შეეწყოს. – მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ პირს, თავი შეიკავონ ნებისმიერი ნაბიჯისა, თუ განცხადებისგან, რომელმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქართულ მართლმსაჯულებას, აღნიშნული საქმე მიუკერძოებლად განისაჯოს.

მთავრობამ და მართლმსაჯულების ინსტიტუტებმა უნდა დაიცვან მედიის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპები, რომელიც საქართველოს გაცხადებული მისწრაფებების განუყოფელი ნაწილია.

გავაგრძელებთ მოვლენებზე ყურადღებით დაკვირვებას და საჭიროების შემთხვევაში, კვლავ გავუზიარებთ წუხილს ყველა შესაბამის მხარეს, – ნათქვამია განცხადებაში.

# იმუშავეთ ერთად და მოიყვანეთ მეტი მოსავალი

ლალი დავითური

**სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტო, რომლის მთავარ მიზანს აგრარულ სექტორში კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.**



როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა, რა შეღავათებით და ვალდებულებებით სარგებლობენ ამ სტატუსის მფლობელები? ამ და სხვა საკითხებზე გაზეთი „ახალი თაობა“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძეს ესაუბრა.

*— ვის შეუძლია კოოპერატივის ჩამოყალიბება?*

— ყველას შეუძლია, უბრალოდ, კოოპერატივს ერთი ადამიანი ვერ შექმნის. კოოპერატივის დარეგისტრირებისთვის საჭიროა, პირველ რიგში, თანამოაზრეების გაერთიანება. მაღალმთიან რეგიონებში მინიმუმ 3 თანამოაზრე, დანარჩენ საქართველოში კი მინიმუმ 5 ადამიანი მაინც უნდა გაერთიანდეს და საჯარო რეესტრში დარეგისტრირდნენ იურიდიულ პირად.

*— დარეგისტრირებისთვის რა არის საჭირო?*

— დარეგისტრირებისათვის საჭიროა წესდება. წესდების ტიპიური ფორმა, კანონის გათვალისწინებით, ჩვენმა სააგენტომ შეიმუშავა, რომელიც განთავსებულია ჩვენს ვებგვერდზე, ასევე განთავსებულია საჯარო რეესტრის ვებგვერდზე, შესაბამისად, მსურველებს აქვთ შესაძლებლობა, რომ გამოიყენონ ეს წესდება და დაარეგისტრირონ საჯარო რეესტრში კოოპერატივი. დარეგისტრირების შემდეგ უკვე განცხადებით უნდა მოგვმართონ ჩვენ, განვიხილავთ მათ განცხადებას და ვანიჭებთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს.

*— ეს სტატუსი მათ რა პრივილეგიებს ანიჭებს?*

— საგადასახადო კოდექსით, დამატებითი საშეღავათო გარემო შეიქმნა. გარდა ამისა, ერთადერთი მეწარმე სუბიექტი, რომელიც გრანტის მიმღებად განისაზღვრა, არის სწორედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

*— ეს რას ნიშნავს?*

— ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სხვა მეწარმე-სუბიექტები, მაგალითად, შპს, ინდმეწარმე, სააქციო საზოგადოება და ა.შ. საჩუქრის ან გრანტის სახით მიიღებს სიკეთეს, ის იბეგრება, ხოლო კოოპერატივი, მიუხედავად იმისა, რომ ის არის მეწარმე სუბიექტი, გრანტის მიღების შემთხვევაში არ იბეგრება.

*— სტატუსის მინიჭების შემდეგ ის იღებს ამ შეღავათებს?*

— სტატუსის მინიჭებისთანავე კოოპერატივი ექცევა საგადასახადო შეღავათების არეალებში, ხდება გრანტის მიმღები სუბიექტი და ავტომატურად უფლება ეძლევა, იმ სახელმწიფო პროგრამებში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც განსაზღვრულია სტატუსის მქონე კოოპერატივებისათვის.

*— კოოპერატივებს რა ვალდებულებები აკისრიათ?*

— მათ არ აქვთ უფლება, არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ, ასევე აქვთ ვალდებულება, რომ მინიმალურ წევრთა რაოდენობა შეინარჩუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება საკითხი მათთვის სტატუსის შეცვლის თაობაზე. დაუდგინდებათ ხარვეზი და თუ ამ ხარვეზს დადგენილ ვადებში ვერ გამოასწორებენ, შემდგომში სტატუსი შეუწყდებათ.

*— რამდენად გაამართლა ამ კანონმა, კოოპერატივებში გაერთიანებისგან მაინც თავს ხომ არ იკავებს მოსახლეობა?*

— საქართველოში დღეს მოქმედებს 1.188 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებშიც გაერთიანებულია 8.00-მდე გლეხი, მეპაიე, მათ შორის 2.111-ზე მეტი ქალია გაერთიანებული. მაღალმთიან რეგიონებში დაახლოებით 500-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია შექმნილი. ეს კოოპერატივები მხოლოდ ერთ წელში და რამდენიმე თვეშია შექმნილი. 2014 წლის 7 მარტს მივანიჭეთ პირველი სტატუსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა.

### საქართველოში 1.188 სასოფლო კოოპერატივი შეიქმნა

*— მოსახლეობას ერთმანეთზე პასუხისმგებლობის აღება უძნელდებათ, ეს ხომ არ შეაფერხებს კოოპერატივების შექმნის პროცესს?*

— თუ ადამიანებს იმის უნარი არ აქვთ, რომ ერთმანეთთან საერთო ენა გამონახონ, ამაში მათ სახელმწიფო ვერ დაეხმარება. სახელმწიფო მათ უქმნის ბიზნესის წარმოების გარემოს, რომ მათ ერთობლივად მიიღონ და აწარმოონ უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე ცალ-ცალკე აწარმოებდნენ.

*— რამდენმა კოოპერატივმა ვერ შეინარჩუნა სტატუსი?*

— დღეის მდგომარეობით 52 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სტატუსი შეუწყდა. მათ შეუძლიათ, საქმიანობა გააგრძელონ, მაგრამ ჩვენი შეღავათებით ველარ ისარგებლებენ.

*— კოოპერატივების შექმნით რომელი რეგიონები გამოირჩევა?*

— ყველაზე აქტიური რეგიონი არის სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, სადაც 223 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია შექმნილი, მას მოჰყვება ქვემო ქართლი, მერე აჭარა და ა.შ. მთელი საქართველოს მასშტაბით არის აქტიურობა.

*— ყველაზე მეტად რომელ დარგს მოიცავს კოოპერატივები?*

— თითქმის ყველა დარგია — მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მებოცვრეობა, მეხილეობა.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ პირველ რიგში ჰექტარზე მოწეული პროდუქციის რაოდენობა გავაზრდევინოთ. ამასთან ერთად, ხარისხმა იმატოს და, შესაბამისად, დაინერგოს მათ წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტები. ხარისხიანი პროდუქციის წარმოების შემთხვევაში მიეცემათ შესაძლებლობა, რომ არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე მოხდეს მათი წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, არამედ საერთაშორისო ბაზრებზეც.

*— საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე ადრე რომელი პროდუქტის გატანას მოიაზრებთ?*

— ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე პროდუქტი არის თაფლი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, რომ ევროკავშირის სტანდარტები დააკმაყოფილოს და ევროკავშირის ბაზარზე გავიდეს. ამის შემდეგ მისთვის ღია იქნება მთელი მსოფლიოს ბაზარი, რადგან ყველაზე მკაცრი, ყველაზე დაცული, ხარისხიანი პროდუქტის მომთხოვნი არის ევროპის ბაზარი.

*— კოოპერატივების შექმნის ძირითადი სირთულე რა არის?*

— ყველაზე მთავარი სირთულე არის ადამიანებს შორის საერთო ენის გამონახვა და ურთიერთნდობა. ეს არის მენტალური პრობლემა. ეს არა მხოლოდ საქართველოს პრობლემაა, ეს არის მსოფლიოში კოოპერაციის განვითარებისთვის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება.

# გოგი თოფაძემ პარლამენტი სტალინის გამო დატოვა

შორენა მარსაგიშვილი

მრეწველები პარლამენტში თავკაცის გარეშე დარჩნენ. გოგი თოფაძემ დეპუტატის მანდატი უარყო და პარლამენტიდან წავიდა. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა თოფაძე ვადის ამოწურვამდე ტოვებს პარლამენტს.

პირველად საკანონმდებლო ორგანო უდროოდ 2004 წელს დატოვა. მაშინ მან ეს იმით ახსნა, რომ სურდა, ბიზნესში თავით ფეხამდე ჩართულიყო.



ახლა პარლამენტიდან სხვა მიზეზით მიდის. როგორც ამბობენ, თოფაძეს კოალიციაში მისი განსხვავებული მოსაზრებების გამო გაურჩიეს საქმე. ნატოსადმი მისი გულცივი დამოკიდებულება ყველასთვის ცნობილია. მისი მხრიდან ნატოს შეჩვენებაზე რეაქციაც კი აღარ ჰქონდათ. აი სტალინზე ნათქვამმა ფრაზამ კი, „ქართული ოცნება“ წყობილებიდან გამოიყვანა. არადა მრეწველთა ლიდერს ბევრი არაფერი უთქვამს, მხოლოდ ის იწინასწარმეტყველა, სულ მალე ყველას ოჯახში დაკიდებენ სტალინის სურათსო.

ამ „წინასწარმეტყველების“ გამო, მთელმა კოალიციამ შეაჩვენა. თოფაძემაც თოფივით იფეთქა და დეპუტატის მანდატის მოსროლა გადაწყვიტა.

წასვლამდე საგანგებო განცხადება გაავრცელა და ერს საკუთარი გადაწყვეტილება განუმარტა.

— „ქართული ოცნება“ ერთი ნიშნით ჩამოყალიბდა: თავიდანვე არავისთვის ყოფილა საიდუმლო, რომ მასში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ერთნაირი ხედვა არ გააჩნდათ, მაგრამ ჩვენ გვაერთიანებდა მთავარი — კოალიციის შემქმნელის ბიძინა ივანიშვილის დიდი იმედი, რწმენა, რომ სწორედ მისი თავკაცობით და მასთან ერთად მოვახერხებდით იმჟამინდელი ხელისუფლების მოცილებას პოლიტიკური ასპარეზიდან, რაც ქვეყნის გადარჩენის ტოლფასად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია კიდეც. ჩვენ გვაერთიანებდა უპირობო მზადყოფნა, ქვეყანაში არსებული, უკვე სრულიად აუტანელი არაადამიანური, შეიძლება ითქვას, საკუთარი მოსახლეობისადმი მტრობით გაჟღენთილი ვითარება ერთხელ და სამუდამოდ შეგვეცვალა და მე, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, კვლავაც ამ მზადყოფნის ერთგული ვრჩები, — წერს ჯერ ისევ დეპუტატი თოფაძე.

წერილში ღიად ამბობს, რომ აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა იყო მასა და მის კოლეგებს შორის.

— შეიძლება დღესაც არსებობდეს სხვადასხვაობა, მაგრამ ეს სხვადასხვაობა არასოდეს შეხებია ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ ამოცანას თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოების ევროპულ ოჯახში გაწევრიანების თაობაზე, — აღნიშნავს დეპუტატი.

მრეწველთა ლიდერი ამბობს, რომ დეპუტატობა მისთვის არასდროს ყოფილა თვითმიზანი.

— მხოლოდ იმიტომ ვარჩიე ეს ასპარეზი, წარსულში ნათლად რომ ვხედავდი ქვეყნის განვითარების არასწორ, არამართებულ გეზს. არაერთხელ საჯაროდ განმიცხადებია, რა უიმედო პერსპექტივას უქმნიდა ქვეყანას წინა ხელისუფლებების მანკიერი, მავნებლური სტრატეგია და, სამწუხაროდ, ბევრი ჩემი და ჩვენი პარტიის (თანამოაზრეების) პროგნოზი არაერთხელ გამართლდა კიდეც, — წერს თოფაძე.

მისი განცხადებით, დღეს ბევრად უფრო იმედიანად უყურებს მომავალს და არ სურს კოალიციაში თავისი მოსაზრებების გამო დისონანსი შეიტანოს.

— ვფიქრობ, ამ ეტაპზე სადეპუტატო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდეც დავტოვო პარლამენტი, რათა ჩემი აზრი ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, დაბრკოლება არ აღმოჩნდეს კოალიციის, მათ შორის, ჩვენი პარტიის მიზანმიმართული ქმედებისთვის, ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დაამყაროს ნორმალური, მშვიდი ვითარება. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ მივიღებ, როცა დასრულდება ჩვენი ფრაქციის მრავალწლიანი მუშაობა საქართველოს მოსახლეობისთვის უაღრესად მნიშვნელოვან კანონპროექტზე. ეს კანონპროექტი გულისხმობს ჩვენი ბუნებრივი ბიომრავალფეროვნების დაცვას, რამაც საბოლოოდ უნდა დაუსვას წერტილი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ინტროდუქციას, — აცხადებს თოფაძე.

........

ჯერჯერობით უცნობია, ზუსტად როდის მიატოვებს ის საკანონმდებლო ორგანოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, როდის მიიღებს პარლამენტი მის მიერ ინიცირებულ კანონს.

და თუ მართლაც წავა თოფაძე, მას მისი დის შვილი ზაზა ჭილაძე შეცვლის. ზაზა ჭილაძე ქართველი მწერლის, ოთარ ჭილაძის ვაჟი და გოგი თოფაძის დის შვილია.

# თამაზ მეჭიაური: „აშშ-ს ელჩმა ბოდიში უნდა მოიხადოს“

შორენა მარსაგიშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობა ამერიკის ელჩს აუმხედრდა. იან კელის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე აიძულა, მის გასაგონად განმარტებები გაეკეთებინა.**

ზვიად კვაჭანტირაძის თქმით, ხელისუფლება რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე პროცესებში არ ერევა.

უმრავლესობის აზრით, აშშ-ის ელჩი უმრავლესობასთან უფრო აქტიური კონტაქტის შემთხვევაში, ამაში თავადაც დარწმუნდებოდა:

— ბატონი კელის განცხადებას ნამდვილად ვერ მივესალმები. მე მიმაჩნია, რომ ჩვენ არცერთ დონეზე, არც აღმასრულებელი და არც საპარლამენტო ხელისუფლება რ2-ის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში ჩართული არ ვართ. ჩემი ულრმესი პატივისცემის დადასტურებით, მე ვისურვებდი, რომ ბატონ ელჩს ჰქონოდა უფრო მეტი კონტაქტები უმრავლესობის წარმომადგენლებთან, მე ვიცი, რომ ის აქტიურად ხვდება უმცირესობის წარმომადგენლებს. მაგრამ თუ დაინტერესდებოდა ჩვენთან უფრო აქტიური კონტაქტით, უფრო დამადასტურებელ და სრულყოფილ პასუხებს მიიღებდა ჩვენი პოზიციის შესახებ, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ზვიად კვაჭანტირაძემ.

უფრო დაუნდობელი და მკაცრი იყო თავის შეფასებებში საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური.

მისი აზრით, განცხადების შინაარსის მიხედვით, რომელიც აშშ-ს ელჩმა რუსთავი 2-თან დაკავშირებით გააკეთა, ის სუვერენული ქვეყნის შიდა საქმეებში ერევა.



თამაზ მეჭიაურის თქმით, მეგობრობა კარგია, მაგრამ მასაც აქვს ზღვარი და საჭიროა, რომ აშშ-ს საელჩომ ბოდიში მოიხადოს:

— თვით ამერიკის ელჩსაც კი არ აქვს უფლება, ასე მკვეთრად ჩაერიოს სუვერენული ქვეყნის საქმეებში. თვით მეგობარსაც არ აქვს უფლება, ასეთი ფორმით ჩაერიოს ჩემი ოჯახის საქმეებში. მეგობრობასაც აქვს ზღვარი, რომლის იქით თვითონაც არ უნდა გადავიდეს. მე არ ვეთანხმები აშშ-ს საელჩოს და ვფიქრობ, ბოდიშიც უნდა მოიხადოს, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

* * *

რუსთავი 2-ის მმართველის შეცვლასთან დაკავშირებით, აშშ-ის საელჩომ განცხადება 6 ნოემბრის დილით გაავრცელა და ტელეკომპანიაში განვითარებულ მოვლენებს შემაშფოთებელი უწოდა.

— აშშ-ის საელჩო უაღრესად შეშფოთებულია რუსთავი 2-ის მართვასა და საკუთრებასთან დაკავშირებით შუა ღამეს განვითარებული მოვლენებით. სააპელაციო პროცესამდე არხის მმართველობის შეცვლის მცდელობას საფუძვლიანი პოლიტიკური შინაარსი აქვს. დემოკრატიულ საზოგადოებაში კრიტიკულ აზრს ხელი უნდა შეეწყოს და არა — მიჩუმდეს, — აღნიშნული იყო საელჩოს განცხადებაში.

# ილიას ჩილოღლუ: „მე და ჩემმა ოჯახმა ამერიკაში ცხოვრება საქართველოს სიყვარულით დავთმეთ“

## „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 89% დასაქმებულია”

ნონა ცაბაძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველოში 1995 წელს დაარსდა და მას შემდეგ მუდამ ვითარდება და ფართოვდება. როგორც ამ უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი ილიას ჩილოღლუ „ახალ თაობასთან” საუბარში აღნიშნავს, თავადაც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. იმდენად მოეწონა საქართველო, რომ აქედან აღარც წასულა. რამდენიმე თვის წინ კი საქართველოს მოქალაქეობაც მიიღო.

**ილიას ჩილოღლუ:**

– საქართველოში 1995 წელს ჩამოვედი. ამ უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი ვიყავი. შარშან გამიჩნდა შანსი ამერიკაში წავსულიყავი საცხოვრებლად. გრინკარტა მოვიგე. უნდა მიმეღო გადაწყვეტილება, წავსულიყავი თუ აქ დავრჩენილიყავი. ერთი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდი იქ და ერთ-ერთ უნივერსიტეტში ვასწავლიდი. თუმცა საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, რომ საქართველოში დავრჩე და არსად არ წავიდე.

***– მოგწონთ ეს ქვეყანა?***

– ძალიან. მე წარმოშობით ქართველი ვარ. ჩემი წინაპრები აჭარლები არიან. ბაბუის მამა გადაასახლეს 1890-იან წლებში თურქეთში და ოთხმა თაობამ იქ ვიცხოვრეთ. თურქეთში შავი ზღვის რეგიონში ვცხოვრობთ, ქალაქ სამსუნთან ახლოს.

***– სად ისწავლეთ ასე გამართული ქართული ენა?***

– ჩვენ ოჯახში სულ ვსაუბრობდით ქართულად. თურქული, სკოლაში რომ შევედი, მაშინ ვისწავლე. კი, კუთხური საუბარი გვქონდა, მაგრამ ყოველთვის ქართულად ვსაუბრობდით. დღესაც დედას რომ ვურეკავ თურქეთში, ჩვენ ერთმანეთს ქართულად ვესაუბრებით. საქართველოში ჩემს მეუღლესთან და შვილებთან ერთად ვცხოვრობ. დანარჩენი ჩემი ოჯახი თურქეთშია.

***– ხშირად მიდიხართ თურქეთში?***

– წელიწადში ორჯერ. ჩვენ დავფუძნდით საქართველოში. შემდეგ გადავწყვიტეთ, მოქალაქეობა მიგვეღო და ოთხი თვეა, რაც საქართველოს მოქალაქეებიც ვართ. ხოლო ამერიკაში ცხოვრება საქართველოს სიყვარულით დავთმეთ.

***– დიდი ცდუნება არ იყო, საქართველოს და ამერიკას შორის რომ აკეთებდით არჩევანს?***

– რასაკვირველია, იყო. იქ საკმაოდ სერიოზული შემოთავაზებები მქონდა, ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი ამერიკაში და ოჯახმა ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საქართველოში ვიყოთ.

***– რამდენი შვილი გყავთ? ოჯახის შესახებაც გვიამბეთ.***

– სამი შვილი მყავს. ტყუპი ბიჭები და ერთი გოგონა, რომელიც უკვე 11 წლისაა. ქართველი მეგობრები ჰყავთ და ძალიან მოსწონთ აქ ცხოვრება. მეუღლეც თურქეთიდანაა, მასაც ჩვენი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. მანაც კარგად იცის ქართული ენა.

***– განსაკუთრებით რა მოგწონთ ქართულ ტრადიციებში?***

– ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო. უფროსებისადმი პატივისცემა, ოჯახის კულტურა. ამერიკაში კი სულ სხვაგვარადაა ყველაფერი. სხვა კულტურაა, აქ მეტი სითბოა. რომ მახსენდება ჩემი სტუდენტობა, ქირით ვცხოვრობდი და როგორ გვივლიდნენ ჩვენი ქართველი მეზობლები, როგორც საკუთარ შვილებს. ლუკმას გვიყოფდნენ, საჭმელს რომ მოამზადებდნენ, ჩვენთვისაც უნდა მოერთმიათ.

სულ სხვა სითბო და სიყვარულია. თან იყო 90-იანი წლები, შუქი არ არის, გაზი არ არის. სულ გვეუბნეოდნენ, სტუდენტები ხართ, თქვენ რას მოამზადებთ, შემოდით ჩვენთან, ისადილეთო. ნამდვილად არ მიგრძვნია, რომ უცხო ქვეყანაში ვცხოვრობდი.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრეთ, ჩემი მეგობარი გერმანიაში წავიდა და მას შემდეგ უკვე 20 წელია, ბოშის კომპანიაში მუშაობს. ტელეფონზე რომ ვესაუბრებოდი, სულ მეუბნებოდა, საქართველოში გატარებული პერიოდი სამოთხე იყო ჩემთვისო. აქ ყველაფერი გულიდან მოდის. თბილი და მოსიყვარულე ხალხი ცხოვრობს საქართველოში. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა.

**უნივერსიტეტი რომ დავამთავრეთ, ჩემი მეგობარი გერმანიაში წავიდა და მას შემდეგ უკვე 20 წელია, ბოშის კომპანიაში მუშაობს. ტელეფონზე რომ ვესაუბრებოდი, სულ მეუბნებოდა, საქართველოში გატარებული პერიოდი სამოთხე იყო ჩემთვისო**

ილიას ჩილოღლუ ამაყობს, რომ შეუძლია, საქართველოსთვის პატარა საქმე მაინც გააკეთოს.

– ჩემთვის განათლების სფერო ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტებს ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას.

***– იქნებ შავი ზღვის უნივერსიტეტის შესახებაც გვიამბოთ?***

– შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 1995 წელს დაარსდა. უნივერსიტეტში ინგლისური და ქართულენოვანი პროგრამები 4 ფაკულტეტზე ფუნქციონირებს. დაახლოებით 2.100 სტუდენტი გვყავს. დაახლოებით სტუდენტების ნახევარი არის ქართულენოვან პროგრამებში და ნახევარი – ინგლისურენოვან პროგრამებში.



**თუ სტუდენტი წარმატებულია და ფინანსური პრობლემები აქვს, ჩვენ სწავლის საშუალებას ვაძლევთ ასეთ სტუდენტს**

როგორც უნივერსიტეტის რექტორი აღნიშნავს, სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი პროფესორები და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული 150-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებელი უზრუნველყოფს.

***– თურქული ენა არ ისწავლება?***

– არჩევით ისწავლება. რუსული, თურქული, გერმანული, ესპანური და ჩინური ენები არჩევითაა. საგნად შეუძლია სტუდენტს, აირჩიოს, ხოლო სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე მიდის. ჩვენთან ბევრი უცხოელი სტუდენტი ჩამოდის და წელს პროგრამაში შეგვაქვს, რომ მათთვის ქართული ენა იყოს სავალდებულო.

***– ბევრი უცხოელი სტუდენტი გყავთ?***

– დაახლოებით 250. თურქეთიდანაც გვყავს, შუა აზიიდან, აფრიკიდან, საბერძნეთიდან და ასევე ევროპის სხვა ქვეყნებიდან. დიდი ყურადღება ექცევა გაცვლით პროგრამებს.

***– რა უპირატესობით სარგებლობენ თქვენი კურსდამთავრებულები?***

– ვაგზავნით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სტაჟირებაზე, თურქეთშიც მიგვყავს. ასევე დიდი ყურადღება ექცევა გაცვლით პროგრამებს. ყოველ წელიწადს 50 სტუდენტი მიდის უცხოეთში სასწავლებლად ერთი წლით, ან ერთი სემესტრით.

**როდესაც სტუდენტებს ვაგზავნით უცხოეთში, უკან ჩამოსულები გვეუბნებიან, რომ ჩვენთან გაცილებით რთულია სწავლა, ვიდრე იქ**

ეს ქვეყნებია ამერიკა, ჩეხეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ლიტვა, ლატვია, თურქეთი. დაახლოებით 35 უნივერსიტეტთან ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ასეთი გაცვლითი პროგრამები ლექტორებისთვისაც გვაქვს.

***– რა ფაკულტეტები გაქვთ?***

– ჩვენ გვაქვს ბიზნესის მართვის ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სადაც შედის საერთაშორისო ურთიერთობა, სამართალი, ეკონომიკა, ჟურნალისტიკა, საჯარო ადმინისტრაცია. ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტი, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

როდესაც სტუდენტებს ვაგზავნით უცხოეთში, უკან ჩამოსულები გვეუბნებიან, რომ ჩვენთან გაცილებით რთულია სწავლა, ვიდრე იქ.

როგორც რექტორი აღნიშნავს, სწავლის გარდა, ისინი დიდ დროს და ყურადღებას უთმობენ სოციალურ ცხოვრებას.

– შეიძლება ადამიანი აკადემიური კუთხით ძალიან კარგად წავიდეს, შესანიშნავად იცოდეს მათემატიკა, ეკონომიკა, მაგრამ მას თუ არ შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმა, არ აქვს პრეზენტაციის უნარი, ეს პრობლემაა.

ამ პრობლემის წინაშე რომ არ აღმოჩნდნენ ჩვენი სტუდენტები, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სოციალურ აქტივობას. 30-მდე განსხვავებული მიმართულების კლუბი არსებობს უნივერსიტეტში და სტუდენტებს შეუძლიათ კლუბის საქმიანობაში ჩართვა. იქ სტუდენტები თავად აკეთებენ ყველაფერს და ამ კუთხითაც ვითარდებიან. ხშირად აწყობენ საერთაშორისო შეხვედრებს. ასევე აქტიურად მონაწილეობენ სპორტის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატებში.

***– თუ არსებობს რაიმე სახის შეღავათები სტუდენტებისთვის?***

– რასაკვირველია. შეღავათების სია საკმაოდ დიდია.

თუ სტუდენტი წარმატებულია და ფინანსური პრობლემები აქვს, ჩვენ სწავლის საშუალებას ვაძლევთ ასეთ სტუდენტს. თუ სტუდენტი ეროვნული გამოცდების რეიტინგით პირველ ასეულშია, ჩვენგან 100%-იან დაფინანსებას ღებულობს და ასევე 200 ლარის ოდენობის სტიპენდიას 4 წლის განმავლობაში. თუ ორასეულში მოხვდება აბიტურიენტი, ის 100 ლარიან სტიპენდიას მიიღებს.

უნივერსიტეტის რექტორი აღნიშნავს, რომ ისინი სტუდენტებს დასაქმებაშიც ეხმარებიან.

– შარშანდელი კურსდამთავრებულები გამოვიკითხეთ და 100 სტუდენტიდან 89 სტუდენტმა გვითხრა, რომ დასაქმებულია და მუშაობს. ბევრი უცხოეთშიც წავიდა და იქ მოღვაწეობს.

უნივერსიტეტი აეროპორტთან ახლოს აშენებს ახალ კამპუსს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დონის იქნება. მეორე სემესტრიდან ერთ ფაკულტეტს გადაიყვანენ და მერე, ეტაპობრივად უნივერსიტეტი მთლიანად იქით გადავა.

– ეს იქნება თანამედროვე დონის კამპუსი, ისეთი, როგორიც ევროპაში და ამერიკაში არსებობს. იქ ყველაფერი მაღალ დონეზეა მოწყობილი. ეს ჩვენი უნივერსიტეტისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

ჩვენ არ ვართ ჩაკეტილები, თუკი რაიმე დახმარების გაწევა შეგვიძლია, ვცდილობთ, ჩვენი რესურსები ყველას გამოადგეს. ჩვენ მხოლოდ ჩვენს სტუდენტებზე კი არა, ზოგადად საზოგადოებაზე უნდა ვიზრუნოთ, – აცხადებს ილიას ჩილოღლუ.

# ილია II ილჰამ ალიევს შეხვდა

### პატრიარქმა აზერბაიჯანში ქართველი ეპისკოპოსის მსახურებისა და დავით გარეჯის სამონატრო კომპლექსის საკითხები დააყენა

ილია მეორემ ილჰამ ალიევთან აზერბაიჯანში ქართველი ეპისკოპოსის მსახურებისა და დავით გარეჯის სამონატრო კომპლექსის საკითხები დააყენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, ილჰამ ალიევთან შეხვედრაზე აზერბაიჯანში ქართველი ეპისკოპოსის მსახურებისა და დავით გარეჯის სამონატრო კომპლექსის საკითხები დააყენა.

საქართველოს საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო.

ეხვედრის დასაწყისში აზერბაიჯანის პრეზიდენტს პატრიარქმა მიმართა. უწმინდესმა მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმინდა სინოდის სახელით მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ალიევს სტუმრობისათვის და სიხარული გამოთქვა მისი ვიზიტის გამო საქართველოში, კერძოდ საპატრიარქოში სტუმრობისათვის.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ მათ ურთიერთობებს დიდი პერიოდი აქვს.

უწმინდესმა დასძინა, რომ მას ახლო ურთიერთობები ჰქონდა ილჰამ ალიევის მამასთან. უწმინდესმა გაიხსენა შეხვედრები ბაქოში და ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის ხელმძღვანელის სითბოსა და სტუმართმოყვარეობას. პატრიარქმა დასძინა, რომ ურთიერთობები აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სხვებისთვის მაგალითია.

– ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ კავკასიაში იყოს მშვიდობა. თქვენ გაქვთ პოლიტიკური მოღვაწეობის ძალიან დიდი გამოცდილება.



იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხალხები იცხოვრებენ მშვიდობიანად და უზრუნველად. უნდა აღინიშოს, რომ ჩვენს რელიგიებს შორის ურთიერთობები ასევე ძალიან კარგია.

ჩვენი ურთიერთობა შეიხთან შუქურ ფაშა ზადესთან ეს ნამდვილად მეგობრულია. ის არაერთხელ იყო საქართველოში და მეც არაერთხელ ვიყავი აზერბაიჯანში. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობდით ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან. ჩვენ ვიცავდით ჩვენი ხალხების, კავკასიის ავტორტეტს, – აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, მუსულმანები საქართველოში ცუდად არ ცხოვრობენ, იმაზე ნაკლებად არა ვიდრე აზერბაიჯანში.

პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთია, ამიტომ ალბათ ქრისტიანები აზერბაიჯანში მათ მდგომარეობას უნდა გაუთანაბრდნენ. პატრიარქმა მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ყურადღებისათვის, რომელსაც იგი იჩენს საქართველოს ელჩის და წარმომადგენლების მიმართ.

– რა თქმა უნდა, არის საკითხები რომელიც გადასაწყვეტია. მაგალითად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიას ჰყავს საკუთარი ეპისკოპოსი, სასურველია საქართველოსაც ჰყავდეს თავისი ეპისკოპოსი. დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეჯოში სამონასტრო კომპლექსს, დავით გარეჯის სამინოსტრო კომპლექსის სამი მონასტერი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმყოფება.

ეს საკითხი შეიძლება მერე გადაიჭრას. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მშვიდობა იყოს კავკასიაში, თუმცა ეს ყოველთვის არ ხდება.

ჩვენ შეშფოთებული ვართ, რომ დარღვეულია აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იქნება აღდგენილი, – აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ასევე იმის გამო, რომ კომპანია „სოკარის“ მეშვეობით საქართველოში მოქმედ ყველა რელიგიის წარმომადგენელს აქვს უფასო ბუნებრივი აირი.

„ჩვენ ძალიან გაგვიხარდება თუ ჩვენი ურთიერთობები ახალ იმპულსებს შეიძენენ“, – დასძინა პატრიარქმა.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## იენს სტოლტენბერგი: „ნატო მოკავშირეებს დაიცავს!“



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ 19 ოქტომბერს დაწყებული სწავლებები წარმოადგენს სიგნალს ყველასთვის: ნატო თავის მოკავშირეებს დაიცავს.

სწავლებაში 36.000 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.

– ნატო არავისთან კონფრონტაციას არ ესწრაფვის, მაგრამ ალიანსის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების დაცვისათვის მზადაა, – აცხადებს სტოლტენბერგი.

პარტნიორ ქვეყნებს შორის მან საქართველო და უკრაინაც დაასახელა.

## საფრანგეთი სირიაში საბრძოლო ხომალდებს გზავნის



საფრანგეთის უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სირიაში სამხედრო ხომალდების გაგზავნის შესახებ.

– მათი ამოცანა ისლამისტი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაა, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა.

პრეზიდენტის აზრით, ისლამური ტერორიზმის პრობლემა უკვე მთელ ევროპას, მათ შორის საფრანგეთსაც აწუხებს, ამიტომ მასთან ბრძოლის გააქტიურება აუცილებელია.

## ვიქტორია ნულანდი: „სირიაში შეჭრის შემდეგ რუსეთის რეპუტაცია დაეცა“




აშშ-ის კონგრესში გაიმართა მოსმენები თემაზე „აშშ-ის პოლიტიკა სირიაში რუსული ესკალაციის შემდეგ“.

მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი. მან აღნიშნა, რომ რუსული ბომბარდირების შედეგად უმეტესწილად არა ექსტრემისტები, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება. ამან სირიიდან ემიგრაციის ზრდაც განაპირობა.

– რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ამ ქვეყნის რეპუტაცია დასცა, – ამბობს ნულანდი.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირიაში ომი რუსეთს დღეში 2-4 მილიონ დოლარამდე უჯდება. იზრდება მსხვერპლი რუს ჯარისკაცებს შორისაც, რაც ძირითადად რუსი ოფიცრების არასწორი ტაქტიკითაა განპირობებული. ნულანდს ზუსტი ციფრი არ დაუსახელებია, თუმცა თქვა, რომ პუტინის ადმინისტრაცია დაღუპული ჯარისკაცების ახლობლების გაჩუმებას ჯერჯერობით ახერხებს.

ნულანდმა განაცხადა, რომ აშშ რუსეთის აგრესიის გასანეიტრალებლად კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებს.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწის აზრით, აშშ უზრდის დახმარებას ზომიერ ანტიასადურ ოპოზიციას, აგრეთვე ბევრს აკეთებს სირიის მეზობელ ქვეყნებში თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.

## დააკავეს უკრაინის იუსტიციის ყოფილი მინისტრი



უკრაინის უშიშროების სამსახურმა იუსტიციის ექსმინისტრი ელენე ლუკაში დააკავა.

მას ეს პოსტი 2013 წელს ეკავა, როცა ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩი იყო. ლუკაშს ბრალად ედება ორ-ნახევარი მილიონი გრივნის დატაცება, ასევე ევრომაიდანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ის იანუკოვიჩის ხელისუფლებაში „ქორებს“ განეკუთვნებოდა, რომლებიც ევრომაიდანის ძალისმიერი მეთოდებით, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღით დაშლას მოითხოვდნენ. ლუკაში და მისი ქმარი, უკრაინის დაზვერვის ექ-შეფი ილიაშოვი, აქტიურად მონაწილეობდნენ პროვოკაციებში, რის შედეგადაც სისხლი დაიღვარა.

– ლუკაშის შესაპყრობად ჩატარდა სპეცოპერაცია, რომელშიც როგორც დაზვერვის, ისე კონტრდაზვერვის თანამშრომლები მონაწილეობდნენ, – ნათქვამია უკრაინის უშიშროების სამსახურის განცხადებაში.

ამავე დროს, სააგენტო „უნიანმა“ გაავრცელა ვიდეორგოლი, სადაც ჩაწერილია ლუკაშის მიმართვა მოსახლეობისადმი.

იუსტიციის ყოფილი მინისტრი აცხადებს, რომ უშიშროების თანამშრომლებს თავად ჩაბარდა.

## ცემა-ტყეპა უკრაინის პარლამენტში




უკრაინის პარლამენტში მორიგი ინციდენტი მოხდა. ამჯერად ხელჩართული ბრძოლა ქალსა და მამაკაცს შორის გაიმართა. კონფლიქტი პარლამენტის სასესიო დარბაზში დაიწყო.

როცა დეპუტატი და ბატალიონ „მიროტვორეცის“ ყოფილი მეთაური ანდრეი ტეტერუკი სიტყვით გამოდიოდა, მას ფრაქცია „ბატკივშჩინას“ წევრი ალექსანდრა კუჟელი მივარდა და ტრიბუნიდან ჩამოთრევა დაუპირა. დაპირისპირება კულუარებში გაგრძელდა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ტეტერუკმა ალექსანდრა კუჟელს ბოთლი ჩაარტყა. თავგატეხილი ქალი სასწრაფო დახმარებამ წაიყვანა. აღსანიშნავია, რომ ტეტერუკიცა და კუჟელიც მმართველი კოალიციის წევრები არიან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ბეტმობილის შემქმნელი გარდაიცვალა



ჰოლივუდის ავტომობილების დიზაინერი და ბეტმობილის შემქმნელი ჯორჯ ბარისი 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის თაობაზე ინფორმაცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე მისმა შვილმა ბრეტ ბარისმა გაავრცელა.

– დიდი მწუხარებით ვწერ, რომ მამაჩემი, კასტომაიზინგის ლეგენდარული მეფე (ძველი ნივთების გადამუშავება ან დეკორატიული სახეცვლილება) ჯორჯ ბარისი უფრო დიდ ავტოფარეხში, ზეციურ სამყაროში გადაბარგდა, – დაწერა ბრეტ ბარისმა.

ბარისი 1925 წელს ჩიკაგოში დაიბადა, შემდეგ კი კალიფორნიაში გადაბარგდა. ავტომობილების შექმნით ის ძმასთან სემთან ერთად ბავშვობიდან იყო დაკავებული, მოგვიანებით ისინი ბიზნესპარტნიორები გახდნენ. ყველაზე დიდი პოპულარობა კი მას ბეტმობილმა მოუტანა, რომელიც ბეტმენზე ტელესერიალისთვის 1966 წელს შექმნა. აღსანიშნავია, რომ პირველი ბეტმობილი აუქციონზე 137 ათას დოლარად გაიყიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი“.

*დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.*

*თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.*

*ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.*

**ლამარა თოდუა:**

● ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.

● ვარჩენ „პრიშჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.

● ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.

● ● ●

ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.

**მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166; №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან; ტელ.: 230-62-52; 599-16-10-82**

## განცხადებები

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

### მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალ-სახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

### ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# ევრო უიკენდი — დერბების ტური

## სტატისტიკა, ფსონები

რომაული, ლონდონური, რურის დერბი... ევროპას მოსაწყენად ნამდვილად არ სცალია. არის კიდევ გამოსარჩევი მატჩები, განსაკუთრებით — ესპანეთში: სევილია-რეალი და ბარსა-ვილიარეალი, მაგრამ რომაულ რომა-ლაციოს ვერავინ გადაწონის.



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.11 ბორნმუთი-ნიუკასლი | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| 07.11 ლესტერი-უოტფორდი | 1.85 | 3.75 | 4.0 |
| 07.11 ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.5 | 3.4 | 2.75 |
| 07.11 სანდერლენდი-საუთჰემპტონი | 4.75 | 3.6 | 1.75 |
| 07.11 მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.33 | 4.75 | 11.0 |
| 07.11 ნორვიჩი-სუონსი | 2.4 | 3.4 | 2.8 |
| 07.11 სტოკი-ჩელსი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 08.11 ასტონ ვილა-სიტი | 7.0 | 4.4 | 1.44 |
| 08.11 არსენალი-ტოტენჰემი | 1.67 | 4.0 | 4.75 |
| 08.11 ლივერპული-კრ.პალასი | 1.7 | 3.75 | 4.8 |

**ბორნმუთი-ნიუკასლი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-სტივ კუკი, კალუმ უილსონი, ტომი ელპიკი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-კევინ მბაბუ, როლანდო აარონსი, დარილ იანმაატი, რობერტ ელიოტი, მასადიო ჰაიდარა, ჯეკ კოლბაკი, ტიმ კრული, გაბრიელ ობერტანი, სტივენ ტეილორი

**ლესტერი-უოტფორდი**

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

უოტფორდი: ***ტრავმ***-არავინ

**ვესტ ჰემი-ევერტონი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ალექს სონგი; ***დისკვ***-ჯეიმს კოლინზი

ევერტონი: ***ტრავმ***-ბრაიან ოვიედო, ფილ იაგიელკა

**სანდერლენდი-საუთჰემპტონი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ლი კატერმოლი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ხოსე ფონტე; ***დისკვ***-ვიქტორ ვინიამა

**მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ლუკ შოუ; ***დისკვ***-მატეო დარმიანი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

**ნორვიჩი-სუონსი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-მეთიუ იარვისი, ენდრიუ უიდსონი; ***დისკვ***-რასელ მარტინი

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

**სტოკი-ჩელსი**

სტოკი: ***ტრავმ***-მარკ მუნიესა

ჩელსი: ***ტრავმ***-რადამელ ფალკაო, ტიბო კურტუა

**ასტონ ვილა-სიტი**

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-გაბრიელ აგბონლაჰორი, ეშლი ვესტვუდი

სიტი: ***ტრავმ***-პაბლო ზაბალეტა, სამირ ნასრი, სერზიო აგუერო

**არსენალი-ტოტენჰემი**

არსენალი: ***ტრავმ***-მიკელ არტეტა, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ტეო უოლკოტი, აარონ რამზი, დავიდ ოსპინა, დენი უელბეკი, ტომაშ როსიცკი, ჯეკ უილშირი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ტომას კეროლი, დანი როუზი, ნასერ ჩადლი, ალექს პრიჩარდი

**ლივერპული-კრ.პალასი**

ლივერპული: ***ტრავმ***-დანიელ სტარიჯი, დენი ინგსი, ხოსეპ გომესი, ჯორდან ჰენდერსონი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-მარუან შამახი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 11 | 8 | 1 | 2 | 26-9 | 25 |
| 2.არსენალი | 11 | 8 | 1 | 2 | 21-8 | 25 |
| 3.ლესტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 23-19 | 22 |
| 4.მანჩესტერი | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 5.ტოტენჰემი | 11 | 5 | 5 | 1 | 19-9 | 20 |
| 6.ვესტ ჰემი | 11 | 6 | 2 | 3 | 22-15 | 20 |
| 7.საუთჰემპტონი | 11 | 4 | 5 | 2 | 18-13 | 17 |
| 8.ლივერპული | 11 | 4 | 5 | 2 | 12-12 | 17 |
| 9.ევერტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 19-15 | 16 |
| 10.კრ. პალასი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-11 | 16 |
| 11.უოტფორდი | 11 | 4 | 4 | 3 | 10-10 | 16 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-14 | 14 |
| 13.სუონსი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 14.სტოკი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-12 | 13 |
| 15.ჩელსი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-22 | 11 |
| 16.ნორვიჩი | 11 | 2 | 3 | 6 | 15-23 | 9 |
| 17.ბორნმუთი | 11 | 2 | 2 | 7 | 12-24 | 8 |
| 18.ნიუკასლი | 11 | 1 | 4 | 6 | 12-22 | 7 |
| 19.სანდერლენდი | 11 | 1 | 3 | 7 | 13-25 | 6 |
| 20.ასტონ ვილა | 11 | 1 | 1 | 9 | 10-20 | 4 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.11 სელტა-ვალენსია | 1.91 | 3.6 | 3.75 |
| 07.11 ლევანტე-დეპორტივო | 2.6 | 2.9 | 3.0 |
| 07.11 ეიბარი-ხეტაფე | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 07.11 რაიო-გრანადა | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 07.11 მალაგა-ბეტისი | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 08.11 ბილბაო-ესპანიოლი | 1.44 | 5.5 | 10.0 |
| 08.11 ბარსელონა-ვილიარეალი | 1.28 | 5.5 | 10.0 |
| 08.11 ატლეტიკო-ხიხონი | 1.22 | 5.5 | 17.0 |
| 08.11 სევილია-რეალი | 3.75 | 4.0 | 1.85 |

**სელტა-ვალენსია**

სელტა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-გუსტავო კაბრალი

ვალენსია: ***ტრავმ***-როდრიგო მორენო, მეთიუ რიანი; ***დისკვ***-ენცო პერესი

**ლევანტე-დეპორტივო**

ლევანტე: ***ტრავმ***-ივან ლოპესი, ანგელ ტრუხილო

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლუის ალბერტო

**ეიბარი-ხეტაფე**

ეიბარი: ***ტრავმ***-ადრიან გონსალესი, ივან რამისი; ***დისკვ***-დანი გარსია

ხეტაფე: ***ტრავმ***-ალვარო მედრანი

**რაიო-გრანადა**

რაიო: ***ტრავმ***-არავინ

გრანადა: ***ტრავმ***-არავინ

**მალაგა-ბეტისი**

მალაგა: ***ტრავმ***-იგნასიო კამაჩო, ნორდინ ამრაბატი

ბეტისი: ***ტრავმ***-არავინ

**ბილბაო-ესპანიოლი**

ბილბაო: ***ტრავმ***-კიკე სოლა, ანდერ იტურასპე, მიკელ რიკო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხერარდ მორენო

**ბარსელონა-ვილიარეალი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-დუგლას პერეირა, ლეო მესი, რაფინია

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ლეო ბაპტისტაო, ადრიანი; ***დისკვ***-ერიკ ბეილი

**ატლეტიკო-ხიხონი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-არავინ

ხიხონი: ***ტრავმ***-ანტონიო სანაბრია

**სევილია-რეალი**

სევილია: ***ტრავმ***-ბეტო, დანიელ კარიკო

რეალი: ***ტრავმ***-მარსელო, გარეთ ბეილი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 10 | 7 | 3 | 0 | 24-4 | 24 |
| 2.ბარსელონა | 10 | 8 | 0 | 2 | 22-12 | 24 |
| 3.სელტა | 10 | 6 | 3 | 1 | 21-13 | 21 |
| 4.ატლეტიკო | 10 | 6 | 2 | 2 | 15-6 | 20 |
| 5.ვილიარეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 15-8 | 20 |
| 6.ეიბარი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-10 | 16 |
| 7.ვალენსია | 10 | 4 | 3 | 3 | 11-7 | 15 |
| 8.ბილბაო | 10 | 4 | 2 | 4 | 16-13 | 14 |
| 9.დეპორტივო | 10 | 3 | 5 | 2 | 15-12 | 14 |
| 10.ესპანიოლი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-21 | 13 |
| 11.სევილია | 10 | 3 | 3 | 4 | 14-14 | 12 |
| 12.ხიხონი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-14 | 12 |
| 13.ბეტისი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-16 | 12 |
| 14.ხეტაფე | 10 | 3 | 1 | 6 | 10-15 | 10 |
| 15.რაიო | 10 | 3 | 1 | 6 | 11-18 | 10 |
| 16.სოსიედადი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-12 | 9 |
| 17.მალაგა | 10 | 2 | 3 | 5 | 5-8 | 9 |
| 18.გრანადა | 10 | 1 | 4 | 5 | 10-18 | 7 |
| 19.ლას პალმასი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-16 | 6 |
| 20.ლევანტე | 10 | 1 | 3 | 6 | 6-22 | 6 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.11 ბაიერნი-შტუტგარტი | 1.11 | 9.0 | 21.0 |
| 07.11 მაინცი-ვოლფსბურგი | 3.2 | 3.6 | 2.15 |
| 07.11 ჰოფენჰაიმი-აინტრახტი | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 07.11 ლევერკუზენი-კიოლნი | 1.44 | 4.6 | 6.5 |
| 07.11 გლადბახი-ინგოლშტადი | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 07.11 დარმშტადი-ჰამბურგი | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 08.11 დორტმუნდი-შალკე | 1.3 | 5.5 | 9.0 |
| 08.11 აუგსბურგი-ვერდერი | 2.15 | 3.5 | 3.25 |

**ბაიერნი-შტუტგარტი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხუან ბერნატი, მარიო გიოტცე, სებასტიან როდე, ფრანკ რიბერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მარტინ ჰარნიკი, დანიელ გინსეკი, რობი კრუზე

**მაინცი-ვოლფსბურგი**

მაინცი: ***ტრავმ***-კრისტიან კლემენსი, ფაბიან ფრეი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-რიკარდო როდრიგესი

**ჰოფენჰაიმი-აინტრახტი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფილიპ ოჩსი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკო რუსი

**ლევერკუზენი-კიოლნი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი, ტიმ იედვაი, რობერტო ჰიბერტი

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

**გლადბახი-ინგოლშტადი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ანდრე ჰანი, პატრიკ ჰერმანი, ნიკო შულცი, მარტინ შტრანცლი

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-როჯერ ბერნარდო, ალმოგ კოენი

**დარმშტადი-ჰამბურგი**

დარმშტადი: ***ტრავმ***-არავინ

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლაი მიულერი, ალბინ ეკდალი, აარონ ჰანტი, გოიკო კაჩარი, ანდრეას ჰირცელი

**დორტმუნდი-შალკე**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ნური შაჰინი

შალკე: ***ტრავმ***-ბენედიკტ ჰოივედესი, მარკო ჰოგერი, მატია ნასტასიჩი, ატსუდო უჩიდა; ***დისკვ***-იოანეს გეისი

**აუგსბურგი-ვერდერი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ჰონგ იეონგ-ჰო

ვერდერი: ***ტრავმ***-ფლორიან გრილიტში, ლუკა ზანდერი, არონ იოჰანსონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 11 | 10 | 1 | 0 | 33-4 | 31 |
| 2.დორტმუნდი | 11 | 8 | 2 | 1 | 32-13 | 26 |
| 3.ვოლფსბურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 17-13 | 21 |
| 4.შალკე | 11 | 6 | 2 | 3 | 14-13 | 20 |
| 5.გლადბახი | 11 | 6 | 0 | 5 | 23-18 | 18 |
| 6.ჰერტა | 11 | 5 | 2 | 4 | 14-14 | 17 |
| 7.ლევერკუზენი | 11 | 5 | 2 | 4 | 13-14 | 17 |
| 8.ინგოლშტადტი | 11 | 4 | 3 | 4 | 7-9 | 15 |
| 9.კიოლნი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-17 | 15 |
| 10.ჰამბურგი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-15 | 14 |
| 11.აინტრახტი | 11 | 3 | 4 | 4 | 16-17 | 13 |
| 12.მაინცი | 11 | 4 | 1 | 6 | 16-19 | 13 |
| 13.დარმშტადტი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 14.ჰანოვერი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-19 | 11 |
| 15.შტუტგარტი | 11 | 3 | 1 | 7 | 17-23 | 10 |
| 16.ვერდერი | 11 | 3 | 1 | 7 | 11-18 | 10 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 11 | 1 | 4 | 6 | 12-19 | 7 |
| 18.აუგსბურგი | 11 | 1 | 3 | 7 | 12-23 | 6 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.11 ვერონა-ბოლონია | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 07.11 მილანი-ატალანტა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 08.11 ტორინო-ინტერი | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 08.11 პალერმო-კიევო | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 08.11 ემპოლი-იუვენტუსი | 5.0 | 3.6 | 1.73 |
| 08.11 სასუოლო-კარპი | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 08.11 ფროზინონე-ჯენოა | 3.3 | 3.3 | 2.2 |
| 08.11 რომა-ლაციო | 1.95 | 3.6 | 3.75 |
| 08.11 ნაპოლი-უდინეზე | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 08.11 სამპდორია-ფიორენტინა | 3.75 | 3.4 | 2.0 |

**ვერონა-ბოლონია**

ვერონა: ***ტრავმ***-რაფაელ მარკესი, ფედერიკო ვივიანი, ლუკა ტონი, რომულო

ბოლონია: ***ტრავმ***-მრიოს ოიკონომოუ

**მილანი-ატალანტა**

მილანი: ***ტრავმ***-დიეგო ლოპესი, ანდრეა ბერტოლაჩი, იგნასიო აბატე, ჯერემი მენეზი; ***დისკვ***-ჯაკომო ბონავენტურა

ატალანტა: ***ტრავმ***-არავინ

**ტორინო-ინტერი**

ტორინო: ***ტრავმ***-ჯოელ ობი, პონტუს იანსონი, დანილო აველარი, ნიკოლა მაკსიმოვიჩი; ***დისკვ***-ჩეზარე ბოვო

ინტერი: ***ტრავმ***-ნემანია ვიდიჩი; ***დისკვ***-ფრედი გუარინი

**პალერმო-კიევო**

პალერმო: ***ტრავმ***-ლუკა რიგონი, უროს ჯურჯევიჩი

კიევო: ***ტრავმ***-ფრედერიკო მატიელო; ***დისკვ***-რიკარდო მეჯორინი

**ემპოლი-იუვენტუსი**

ემპოლი: ***ტრავმ***-დანიელე კროკე, ლევან მჭედლიძე

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კვადვო ასამოა, რობერტო პერეირა

**სასუოლო-კარპი**

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ

კარპი: ***ტრავმ***-მატეო ფედელე, რაფაელ მარტინო; ***დისკვ***-მარკო ბორიელო

**ფროზინონე-ჯენოა**

ფროზინონე: ***ტრავმ***-ნიკოლას კასტილო

ჯენოა: ***ტრავმ***-ეზეკიელ მუნიოსი, გორან პანდევი, ბლემირ ჯემაილი

**რომა-ლაციო**

რომა: ***ტრავმ***-მაიკონი, ფრანჩესკო ტოტი, კევინ სტროოტმანი; ***დისკვ***-მირალემ პიანიჩი

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფან დე ვრეი

**ნაპოლი-უდინეზე**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

უდინეზე: ***ტრავმ***-პანაგიოტის კონე, დუვან ზაპატა, ალექსანდერ მერკელი

**სამპდორია-ფიორენტინა**

სამპდორია: ***ტრავმ***-ანდრეა კოდა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ფიორენტინა | 11 | 8 | 0 | 3 | 22-9 | 24 |
| 2.ინტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 11-7 | 24 |
| 3.რომა | 11 | 7 | 2 | 2 | 25-13 | 23 |
| 4.ნაპოლი | 11 | 6 | 4 | 1 | 21-8 | 22 |
| 5.სასუოლო | 11 | 5 | 4 | 2 | 13-10 | 19 |
| 6.მილანი | 11 | 6 | 1 | 4 | 15-16 | 19 |
| 7.ლაციო | 11 | 6 | 0 | 5 | 16-18 | 18 |
| 8.ატალანტა | 11 | 5 | 2 | 4 | 13-14 | 17 |
| 9.სამპდორია | 11 | 4 | 4 | 3 | 19-15 | 16 |
| 10.იუვენტუსი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-10 | 15 |
| 11.ტორინო | 11 | 4 | 3 | 4 | 17-17 | 15 |
| 12.ემპოლი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-15 | 14 |
| 13.კიევო | 11 | 3 | 4 | 4 | 14-11 | 13 |
| 14.ჯენოა | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 15.უდინეზე | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 16.პალერმო | 11 | 3 | 2 | 6 | 11-16 | 11 |
| 17.ფროზინონე | 11 | 3 | 1 | 7 | 9-16 | 10 |
| 18.ბოლონია | 11 | 3 | 0 | 8 | 9-15 | 9 |
| 19.ვერონა | 11 | 0 | 6 | 5 | 8-17 | 6 |
| 20.კარპი | 11 | 1 | 3 | 7 | 10-23 | 6 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 07.11 პსჟ-ტულუზა | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 07.11 ლორიანი-ტრუა | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 07.11 რეიმსი-გაზელეკი | 1.8 | 3.4 | 4.75 |
| 07.11 ლილი-ბასტია | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 07.11 მონპელიე-ნანტი | 2.2 | 3.1 | 3.6 |
| 07.11 კაენი-გენგამი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 08.11 მარსელი-ნიცა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 08.11 ლიონი-სტ.ეტიენი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 08.11 ბორდო-მონაკო | 2.4 | 3.1 | 3.1 |

**პსჟ-ტულუზა**

პსჟ: ***ტრავმ***-ხავიერ პასტორე, მარკინიოსი, დავიდ ლუიზი

ტულუზა: ***ტრავმ***-ტონგო დუმბია, მაურო გოიკოეჩეა

**ლორიანი-ტრუა**

ლორიანი: ***ტრავმ***-ველსი ლაუტოა

ტრუა: ***ტრავმ***-კვენტინ ოტონი, მეტიუ საუნო, მორი კონე

**რეიმსი-გაზელეკი**

რეიმსი: ***ტრავმ***-ჯაბა კანკავა, დავიდ ნგოგი, მოჰამედ ფოფანა, აისა მანდი, ანტუან კონტე

გაზელეკი: ***ტრავმ***-ულრიხ მაი, ალასანე ტურე

**ლილი-ბასტია**

ლილი: ***ტრავმ***-მარკო ბაშა

ბასტია: ***ტრავმ***-ალექს ნგანდო, ბრანდაო, ფრანსუა კამანო, კრისტოფერ მაბულუ, ალექსანდერ ჯიკუ, იასინ იებო

**მონპელიე-ნანტი**

მონპელიე: ***ტრავმ***-პოლ-ბასტიენ ლასნე, იორის მავრო

ნანტი: ***ტრავმ***-ვალენტინ რონიერი, ალეხანდრო ბედოია

**კაენი-გენგამი**

კაენი: ***ტრავმ***-არავინ

გენგამი: ***ტრავმ***-ტიბოლტ გირესე, კრისტოფერ კერბრო, მანა დემბელე, რეინალდ ლემო, მაქსინ ბაკა

**მარსელი-ნიცა**

მარსელი: ***ტრავმ***-ბრის ჯა ჯეჯე, აბუ დიაბი

ნიცა: ***ტრავმ***-მიშელ ლე ბიანი, ალასანე პლეა, სიმონ პუპლინი

**ლიონი-სტ.ეტიენი**

ლიონი: ***ტრავმ***-სტიდ მალბრანკი, მილან ბიშევაჩი, ალდი კალულუ, ნაბილ ფეკირი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-მუსტაფა სალი, რომან ჰამოუმა, ჯონათან ბრისონი, ბენჯამინ კორნე, ჯონათან ბამბა

**ბორდო-მონაკო**

ბორდო: ***ტრავმ***-ადამ კუნასი, ნიკოლას მორისი, გრეგუარ სერტიჩი

მონაკო: ***ტრავმ***-ივან კავალიერო, ნაბილ დირარი, ტომას ლემა, ტიემუ ბაკაიოკო, ფაბიო კოენტრაუ, ადამა ტრაორე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 10 | 2 | 0 | 26-6 | 32 |
| 2.ლიონი | 12 | 6 | 4 | 2 | 16-7 | 22 |
| 3.ანჟე | 12 | 6 | 4 | 2 | 12-7 | 22 |
| 4.სტ.ეტიენი | 12 | 7 | 1 | 4 | 17-14 | 22 |
| 5.კაენი | 12 | 7 | 0 | 5 | 12-13 | 21 |
| 6.მონაკო | 12 | 5 | 5 | 2 | 16-15 | 20 |
| 7.ნანტი | 12 | 6 | 1 | 5 | 11-12 | 19 |
| 8.ნიცა | 12 | 5 | 3 | 4 | 26-17 | 18 |
| 9.ლორიანი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-17 | 17 |
| 10.რენი | 12 | 4 | 5 | 3 | 15-14 | 17 |
| 11.გენგამი | 12 | 4 | 4 | 4 | 12-15 | 16 |
| 12.მარსელი | 12 | 4 | 3 | 5 | 18-13 | 15 |
| 13.რეიმსი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-12 | 15 |
| 14.ბორდო | 12 | 3 | 5 | 4 | 14-18 | 14 |
| 15.ბასტია | 12 | 4 | 1 | 7 | 13-18 | 13 |
| 16.ლილი | 12 | 2 | 6 | 4 | 6-7 | 12 |
| 17.მონპელიე | 12 | 2 | 3 | 7 | 9-15 | 9 |
| 18.გაზელეკი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-16 | 9 |
| 19.ტულუზა | 12 | 1 | 6 | 5 | 12-21 | 9 |
| 20.ტრუა | 12 | 0 | 4 | 8 | 5-21 | 4 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ორშაბათი 9 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია I გად. 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ – შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" - "ფილოსოფია დაკარგულ დროში" (ირმა ჩუბინიძე) 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" I გად. 21.00 ტ/სერ. **"ბანქოს სახლი"** 6 სერ. 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 "გამომძიებელი რეპორტიორი" 2015-16 წლის სატელევიზიო სეზონის I გად. 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ **"სამეფო"** (თრილერი. რეჟ: პ.ბერგი, ჯ.ფოკსი)

